ძიება, თაოსნობა

# დღეს მოწინავის მიჯნა —ხვალ თვითეულის მიჯნა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 მაისი, სამშაბათი, 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 107 (15624)

## მხარი დავუჭიროთ რუსთაველ ქიმიკოსთა პატრიოტულ თაოსნობას

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანას გასულ წელთან შედარებით დაძაბული დავალება აქვს მიცემული; ეს მოითხოვს ახალ მუშახელს. სინამდვილეში კი საწარმოს 1.000 კაცზე მეტი აკლია.

საწარმოს ხელმძღვანელობამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გამოძებნეს ისეთი რეზერვები, რომელთა ამოქმედებით, არსებული მუშახელით წარმატებით უნდა შესრულდეს მიმდინარე წლისა და ხუთწლედის დავალება.

ნოვატორი მუშები ორმაგად ასრულებენ დავალებას, ხოლო მოწინავეები 20-30 პროცენტით აჭარბებენ პირად ნორმებს. ასეთები კი არც თუ ცოტანი არიან. საწარმოში ყველაფერი გაიანგარიშეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თუ მუშათა უმრავლესობა მიაღწევს მოწინავეთა მიჯნას, მუშათა ნაკლებობის მიუხედავად წარმატებით შეასრულებენ წლის გეგმას. ეს ღონისძიება ფართოდ დაამუშავეს საამქროებში და ყველგან ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი. ამის შემდეგ წამოიწყეს ახალი ინიციატივა — „დღეს მოწინავის მიჯნა ხვალ თვითეულის მიჯნაა".

ქიმიკოსთა თაოსნობა, რომელსაც მხარი დაუჭირეს საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ, მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. აღინიშნა, რომ ეს პატრიოტული მოძრაობა ხელს შეუწყობს მოწინავე საწარმოო გამოცდილების უსწრაფესად გავრცელებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის დავალებებისა და სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ახლა მთავარია რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა მხარი დაუჭირონ რუსთაველ ქიმიკოსთა გამოცდილებას, ფართოდ გაავრცელონ ეს ძვირფასი თაოსნობა და შეჯიბრების ყველა მონაწილეს შეუქმნან ნაყოფიერი შრომის ყველა პირობა.

**მასალები იმის შესახებ, თუ როგორ ფიქრობენ წამოწყებული ინიციატივის განხორციელებას რუსთაველი ქიმიკოსები, იხილეთ მეორე გვერდზე.**

### ნოვატორი მძახავი



რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ცხელი გაჭიმვის საამქროში ნოვატორ მძახავს, სოციალისტური შრომის გმირს ელენე კოწიწაშვილს ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა რ. გოგოლაძე და ნოვატორი მძახავის მაგალითისამებრ მუშაობა დაიწყო გაფართოებულ ზონაში და ემსახურება 72 თითისტარს, ნორმა კი 36 ითვალისწინებს. რ. გოგოლაძე დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს.

ხ. კილაძის ფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

## ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

### საქართველოს მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილეებისაგან

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

საქართველოს მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილენი მხურვალედ, სულითა და გულით გილოცავენ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭებას. ეს აღიარებაა თქვენი უდიდესი პირადი წვლილისა, რომელიც შეიტანეთ სკკპ XXIV ყრილობაზე თქვენი მოხსენების შესაბამისად მიღებული საბჭოთა სამშვიდობო პროგრამის განხორციელების საქმეში.

საქართველოს მშვიდობის მომხრეებს — ქალაქისა და სოფლის მშრომელთა წარმომადგენლებს, რომლებიც ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებული მშვიდობიანი შრომის ასპარეზზე, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ამრავლონ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრე. ეს არის მისი ძალა, ძლიერება და კიდევ მეტი პოზიტიური გავლენა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების მთელს მიმდინარეობაზე. საბჭოეთის სახელოვანი გზა ლენინური ზავის დეკრეტიდან სამშვიდობო პროგრამამდე — ეს არის ალმშენებლობის გზა, სამართლიანობისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის გზა.

ჩვენთვის — საქართველოს მშვიდობის მომხრეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თქვენ საერთაშორისო ლენინური პრემია მოგენიჭათ. ჩვენ მიგვაჩნია ეს ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ცხოველმყოფელობის დადასტურებად, ჩვენი მოძრაობის ნაყოფიერი საქმიანობის აღიარებად, ამ მოძრაობის უზენაესი სამართლიანობის კიდევ ერთ უცილობელ საბუთად.

გისურვებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ჯანმრთელობას, ახალ დიდ შემოქმედებითს წარმატებებს თქვენს მრავალმხრივ მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

(საქართველოს მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენციის ანგარიში გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

## გულთბილად ულოცავენ ლ. ი. ბრეჟნევს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

### ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ,

მე განსაკუთრებული სიამოვნებით და უაღრესად გულთბილად გილოცავთ რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ჩემი სახელით „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭებას, და გულითადად გისურვებთ ახალ წარმატებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეთაურის მოღვაწეობაში, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის შემდგომი აყვავებისათვის, ბრძოლაში მშვიდობისათვის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა კვლავ გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა განუხრელად განმტკიცდება ჩვენი ხალხების, სოციალისტური ქვეყნებისა და მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვების ინტერესებისათვის.

**ნ. ჩაუშესკუ,**

რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

### ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

გილოცავთ მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭებას ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებაში წვლილისათვის.

კანადის კომუნისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

**უილიამ კაშტანი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

### ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

გულთბილად გილოცავთ მაღალ ჯილდოს — მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭებას. თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს, ჯერ კიდევ დიდმა ლენინმა დასახა. პირადად თქვენ და ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც ლენინის ერთგულმა მოწაფეებმა, შეიმუშავეთ და კიდევ უფრო ავითარებთ მშვიდობისმოყვარულ ლენინურ პოლიტიკას, რომელიც საუკეთესოდ ემსახურება მთელი კაცობრიობის, მათ შორის კვიპროსელი ხალხის ინტერესებს. დაე საბჭოთა კავშირი სულ უფრო ძლიერდებოდეს მშვიდობის, თავისუფლების, სოციალიზმისა და კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

**ეზეკიას პაპაიოანუ,**

კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალური მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

### ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

მიიღეთ ჩემი გულწრფელი მილოცვა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭების გამო. ჩემი ქვეყნის ხალხი თქვენთვის ამ პრემიის მონიჭების ცნობას დიდი კმაყოფილებით შეხვდა და ჩემთან ერთად გამოთქვამს იმედს, რომ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა და მეგობრობა, რომელიც გრძელდება, შეიტანს წვლილს მშვიდობისა და მსოფლიოს ყველა რაიონის დაძაბულობის შენელების საქმეში.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით და გულითადად გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას პირადად თქვენ, პროგრესსა და აყვავებას სსრ კავშირის ხალხს.

**შეიხ მუჯიბურ რაჰმანი,**

ბანგლადეშის სახალხო ლიგის პარტიის პრეზიდენტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

### ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს

შრი ლანკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უგულითადესად გილოცავთ, ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ, ისტორიულ მოვლენას — მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ ჩამოაყალიბა მშვიდობისა და პროგრესის პოლიტიკა მთელი კაცობრიობისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ამ პოლიტიკის განხორციელებამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებას, ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფასა და დაძაბულობის შენელებას, აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განმტკიცებას და ცივი ომის პოლიტიკიდან სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკაზე გადასვლას.

დღეს საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი და გავლენა გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო განვითარებაზე მშვიდობის ინტერესებისათვის.

მთელი მსოფლიო დიდად აფასებს თქვენს პირად წვლილს დიად მიღწევებში მშვიდობისა და პროგრესის გზაზე.

შრი ლანკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით დოქტორი

**ს. ა. ვიკრემასინგჰე,**

გენერალური მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს

### ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

მსურს თქვენს აღმატებულებას უგულითადესად მოვულოცო „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭება.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს მაღალი ჯილდო, რომელიც მთავარ სათნოებათა სიმბოლოა, საშუალებას მოგცემთ კიდევ უფრო მეტი თქვენი ძირითადი წვლილი შეიტანოთ სამართლიანობისა და პროგრესის საქმეში, რომელთანაც სამუდამოდ არის დაკავშირებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელოვანი დამაარსებლის სახელი.

ღრმა პატივისცემით

**მოქტარ ულდ დადა,**

მავრიტანიის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი, მავრიტანიელი ხალხის პარტიის გენერალური მდივანი.

17 ივნისი

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე!

## ერთიანობა და შეკავშირება

### რესპუბლიკაში დაიწყო მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

□

**7 მაისს საქართველოში დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში დაიწყო მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კანდიდატთა დასახელება. წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დღეებში. საქართველოს მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ყოველდღიურად ზრდიან წარმოების ტემპს, აღწევენ სულ უფრო საგრძნობ შედეგებს იმ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც დასახეს სკკპ XXIV ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა.**

**რესპუბლიკის მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ, ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც გაშლილია დევიზით „ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს — დამკვრელური ტემპი!" 1973 წლის პირველ კვარტალშივე მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს.**

**წარმატებით ხორციელდება გეგმები და ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობების საწარმოთა, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა.**

**წინასაარჩევნო კრებების მონაწილენი, რომლებიც დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ, აცხადებენ, რომ მთლიანად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს.**

**ცხინვალი.** ცხინვალის „ვიბრომანქანის" ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეების კრება, რომელიც მიეძღვნა საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას, გახსნა საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ვ. პასტელგამ.

ტექნიკური კონტროლის განყოფილების ოსტატმა თ. ჯობოზოვმა წამოაყენა წინადადება, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი, კომუნისტი **ზოია ციცოს ასული ვალიევა.**

წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საინსტრუმენტო უბნის ზეინკალმა გ. ფუხაევმა და თერმული უბნის ოსტატმა ზ. ჩეხოევმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ზ. ც. ვალიევამ ქარხანაში მუშაობის პერიოდში მთელი კოლექტივის პატივისცემა დაიმსახურა თავისი პრინციპულობით, შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. იგი მუდამ ქარხნის მარკის ღირსების სადარაჯოზე დგას, რის შედეგადაც მომხმარებლები იღებენ მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას. მათ მოუწოდეს კრების მონაწილეებს, რომ მხარი დაუჭირონ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ზ. ც. ვალიევას.

**სამხრეთ ოსეთის** მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს აგრეთვე მწველავი **ნელი ნიკოლოზის ასული ვახტანგაშვილი** — ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან. მწველავი **მარიამ დუდარის ასული ბაზაევა** — ჯავის რაიონის წონის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან. მუშა **ზალდუზ გიორგის ასული კაჯაევა** — ზნაურის რაიონის ბიყმარის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან. საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გიორგი ნიკოლოზის-ძე ჯუსოევი**, ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**გორი.** გორის რაიონის ქარალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას, გახსნა მეურნეობის დირექტორმა მ. ჯაშაშვილმა.

საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ბრიგადის ბრიგადირმა ნ. ხარიბეგაშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საბჭოთა მეურნეობის კოლექტივისაგან დაასახელონ მეურნეობის მოწინავე მწველავი **ლილი ზაქარიას ასული გურგენაშვილი.**

მოწინავე მწველავის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა ე. ლოლიჯაშვილმა, თ. ძამუკაშვილმა. საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. ჩუხრუკიძემ.

მათ ილაპარაკეს თავიანთი კანდიდატის შრომითი გზის შესახებ. ლ. ზ. გურგენაშვილი ფერმაში მუშაობს 1968 წლიდან და განუწყვეტლივ ზრდის წველადობას. მაგალითად მან შარშან თითოეულ საძოვარი ძროხაზე მიიღო 1.880 კილოგრამი რძე გეგმით გათვალისწინებული 1.666 კილოგრამის ნაცვლად. მოწინავე მწველავი კვლავ ინარჩუნებს სწრაფ ტემპს მუშაობაში. თუ თვეში 7.400 კილოგრამი რძის ნაცვლად მან 10.140 კილოგრამი რძე მიიღო.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ლ. ზ. გურგენაშვილის კანდიდატურას.

**ზუგდიდი.** სოფელ ინგირის კოლმეურნეობაში გაიმართა ხალხმრავალი კრება, რომელიც მიეძღვნა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას. კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ყავლაშვილმა.

კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ გ. ბერაძემ წამოაყენა წინადადება, რომ კოლმეურნეობის კოლექტივისაგან რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ მეჩაიე მარინე **შალვას ასული გულუა.**

10 წელზე მეტია მ. გულუა ჩაის კრეფს მშობლიური კოლმეურნეობის პლანტაციებში. არ ყოფილა ისეთი წელი, რომ მას დავალება არ შეესრულებინოს. მ. გულუამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საზოგადოებრივ მეურნეობაში, ფაბრიკაში მის მიერ ჩაბარებული ნედლეულის 78 პროცენტი პირველი ხარისხისაა. მის ნაკვეთზე ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 7.500 კილოგრამს მიაღწია.

მ. გულუა თანასოფლელთა დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ კრებებზე დაასახელეს საუკეთესონი — ისინი, ვინც თავისი პატიოსანი შრომით, საზოგადოებრივ მოვალეობათა აქტიური შესრულებით მოიპოვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოლექტივების დიდი სიყვარული, ვისაც ხალხი მიიჩნევს ღირსეულად იყოს მისი წარმომადგენელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში.

თბილისის № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკის ლენინგორის ფილიალის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ლენინგორის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საწარმოს მოწინავე მუშა **იზაბელა იაკობის ასული კუმალაგოვა.**

ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსნის კოლმეურნეობის მწველავი **ნადია ბაგრატის ასული ნაუაევა** დაასახელა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მშობლიური კოლმეურნეობის კოლექტივმა.

ბოლნისის რაიონის სოფელ დემირლოს კოლმეურნეობის წევრებმა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამ კოლმეურნეობის მწველავი **ხამედ-ყზი ბალდაგიული.**

ბოლნისის რაიონის სოფელ საბაჩლოს კოლმეურნეობის მშრომელებმა რაიონულ საბჭოში თავიანთ წარმომადგენლად დაასახელეს **სოფიო ომარ-ყზი ხაფაროვა.**

„მადნეულმშენის" სამშენებლო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა ბოლნისის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს მუშა **ზინაიდა ვლადიმერის ასული ტოჩილოვა.**

გორის რაიონის გარიანის საბჭოთა მეურნეობის მებაღეთა ბრიგადირი **ეკატერინე ნიკოლოზის ასული თვალიაშვილი** რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამ საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა.

გორის რაიონის სოფელ დიცის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ამ მეურნეობის კოლმეურნე **მარინე ხერგოს ასული მარკოზაშვილი.**

საგარეჯოს ხალიჩამქსოვებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამ ქარხნის მუშა **ვახტანგ დავითის-ძე კურდღელაშვილი.**

საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" მშრომელებმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამ მეურნეობის კოლმეურნე **ლენა იოსების ასული ჰიჭაძე.**

(დასასრული მე-3 გვ.).

ქიმია, თაოსნობა

**სოციალისტური შეჯიბრება**

# დღეს მოწინავის მიჯნა — ხვალ თვითეულის მიჯნა

## ასე ფიქრობენ ამ ინიციატივის განხორციელებას რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ნოვატორები, წარმოების მოწინავენი, ხელმძღვანელები

წელს, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივის წინაშე დიდი ამოცანა დგას. შარშანდელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 1.637 ტონით უნდა გავზარდოთ. ეს გადიდებული გეგმა რომ შევასრულოთ, წარმოებაში უნდა გვყავდეს 6 ათას კაცზე მეტი, ფაქტიურად კი მუშათა საერთო რაოდენობა ოთხი ათასს თუ სჭარბობს. ამ მდგომარეობამ საგონებელში ჩააგდო მთელი კოლექტივი. ყველა რეზერვი გადავსინჯეთ. მთავარი, რამაც მდგომარეობიდან უნდა გამოგვიყვანოს, ეს არის შრომის ნაყოფიერების გადიდება, მომსახურების ზონის გაფართოება, მთელ რიგ ტექნიკურ-ეკონომიურ ღონისძიებათა განხორციელება.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის საჭირო გახდა სოციალისტური შეჯიბრების უფრო გონივრულად მოწყობა. ყველა საამქროში შევისწავლეთ მუშის გამომუშავება. მაგალითად, გამოირკვა, რომ გადამხვევ საამქროში 15 მოწინავე გადამხვევი დღეში საშუალოდ იძლევა 110 კილოგრამ ძაფს, მაშინ, როცა საერთო საშუალო გამომუშავება 90 კილოგრამს შეადგენს. გამოდის, რომ საგანგაშო არაფერია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ქარხანაში 1.000 კაცზე მეტი გვაკლია. მაშასადამე, საჭიროა ძირითადი პროფესიის მოწინავე მუშათა დონეზე ავიყვანოთ თვითეული მუშის გამომუშავება. ეს საკითხი კარგად დავამუშავეთ საამქროებში და წამოვიწყეთ ახალი თაოსნობა „მოწინავის დღევანდელი მიჯნა — ხვალ კოლექტივის ყველა წევრის მიღწევად უნდა იქცეს". ამ მოწოდებას კოლექტივის თითქმის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი და ნოვატორთა და მოწინავეთა მაგალითისამებრ დაიწყეს მანქანების მომსახურების ზონის გაფართოება. მაღალნაყოფიერი შრომით მუშათა ნაკლებობა დავძლიეთ და პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის გეგმას 255 ათასი მანეთით გადავაჭარბეთ, საერთო პროდუქციის დავალებას — 23 ათასი მანეთით, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივეცით 18 ტონა ძვირფასი ქიმიური ბოჭკოს ძაფი.

მაგრამ სანამ ამ თაოსნობას წამოვიწყებდით, გასულ წლებში მთელი რიგი ღონისძიებები განვახორციელეთ. ქარხნის სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები შევუდექით შიდარეზერვების გამოვლინებას, ეფექტური ღონისძიების გატარებას. სწორედ ამ ლამქრობის დროს ჩავუყარეთ საფუძველი ისეთ თაოსნობას და ინიციატივას, როგორიც არის „მაქსიმალურად გამოვიყენოთ სამუშაო დრო", „ხუთი დღის ნორმა — ოთხ დღეში", „ვალდებულებათა პირადი გეგმები — თვითეულ მუშას".

# მოწინავე გამოცდილება — ყველას!

### რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივის ახალ ინიციატივას კომენტარს უკეთებს საწარმოს დირექტორი ი. ბრძოლიძე.

ამჟამად ფართოდ წარმოებს დაუგავილისის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მძახავის, სოციალისტური შრომის გმირის ფ. რიბაკოვას მუშაობის მეთოდის ფართოდ დასანერგავად. ეს მეთოდი კი, როგორც მოგეხსენებათ, ითვალისწინებს მომსახურების ფართო ზონაში მუშაობას — მანქანის ორივე ხაზის მომსახურებას.

როგორც ვხედავთ, მუშაობაში სიახლენი ბევრი გვაქვს, მაგრამ ჩვენი ახალი თაოსნობის მნიშვნელობა მაინც ის არის, რომ გადავაქციოთ ყველა მუშა მოწინავედ!

თუ ქარხნის კოლექტივმა მართლაც მიაღწია იმას, რომ მოწინავის დღევანდელი მიჯნა ხვალ ყველას მიღწევად აქცია, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება კადრების უკმარისობის საკითხი და ქარხანა ნაკლები მუშახელით შეძლებს გეგმის სისტემატურად შესრულებას.

ზემოთქმულმა გარემოებებმა მიიყვანა ქარხნის კოლექტივი, მისი სამეურნეო, პარტიული პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები იმ დასკვნამდე, რომ წამოეწყოთ ახალი თაოსნობა. პირველად ეს იდეა ცხელი გაჭიმვის საამქროში დაიბადა. როცა აქ ყველაფერს კარგად გავუკეთეთ ანალიზი, გამოირკვა, რომ მუშათა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 14 კაცი იყო მოწინავე. თვითეული მოწინავე მუშის საშუალო გამომუშავება ერთ ცვლაში 350 კილოგრამი კორდის ძაფია, ეს მაშინ, როცა საამქროს თვითეული მუშის საერთო საშუალო გამომუშავება 275 კილოგრამს შეადგენს. საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა წელს ამ მოწინავე მუშების მაჩვენებლების დონემდე აიყვანოს კიდევ 70 კაცის შრომითი მაჩვენებლები. თუ ეს მოხერხდა საამქროში 350 ტონით გაიზრდება პროდუქციის წარმოება. საამქროში კიდევ 31 მუშა რჩება, რომლებმაც მომდევნო წელს უნდა მიაღწიონ მოწინავეთა მიჯნას.

და განა მარტო ცხელი გაჭიმვის საამქროში? ქარხანაში უკვე შევადგინეთ კონკრეტული გეგმები, რომელთა მიხედვით ახლებურად იმუშავებენ სართავი, საქსოვი გადამხვევი, საგრეხი და სხვა საამქროები. სულ ქარხანაში ძირითადი პროფესიის 575 მუშაა. აქედან მოწინავეა 73. გათვალისწინებულია წელს ამ მოწინავეებს გავუტოლოთ კიდევ 410 მუშა, ხოლო დანარჩენებმა მომავალ წელს მიაღწიონ სასურველ შედეგს. საბოლოოდ გადაწყდა, რომ **წელს რუსთაველი ქიმიკოსები ახლებური მუშაობით გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 100 ტონა კორდის ბოჭკოს და მოახდენენ 350 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის რეალიზაციას.** წელს შარშანდელთან შედარებით 26,9 პროცენტით გადიდდება თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება. პროდუქციის გამომუშავების გადიდების პროპორციულად გაიზრდება ანაზღაურებაც, ამასთან მოწინავეებს გეგმის გადაჭარბებისათვის პრემიები მიეცემათ. წინასწარი გაანგარიშებით 15-18 პროცენტით გაიზრდება თვითეული მუშის თვიური საშუალო ხელფასი და ამჟამად არსებული 140 მანეთიდან 160-170 მანეთს მიაღწევს.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის უკვე განვახორციელეთ და კვლავაც განვახორციელებთ მთელ რიგ ღონისძიებებს. მათ შორის აღსანიშნავია ცენტრალური სარემონტო სამსახურის შექმნა. ეს შრომითი კოლექტივი გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე. ამ ღონისძიების განხორციელებამ მკვეთრად შეამცირა მანქანების რემონტის ვადები, გაუმჯობესდა შეკეთების ხარისხი, ამაღლდა მომუშავეთა პასუხისმგებლობა.

წინ კიდევ დიდი ამოცანებია. **მიმდინარე ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულია ხელოვნური ბოჭკოს გამოშვება ავიყვანოთ 15,5 ათას ტონამდე, უახლოეს პერსპექტივაში კი — 45 ათას ტონამდე.** ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს მოხდება საწარმოო ფართობის გაუდიდებლად. ეს მატება ძირითადად მოხდება ახალი მანქანებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე.

---

## ასეთია ჩვენი რეზერვები

**ა. ხესიტაშვილი,**

ცხელი გაჭიმვის საამქროს ცვლის უფროსი

ჩვენი საამქრო ერთ-ერთი ძირითადია ქარხანაში. ამ კოლექტივის წარმატებაზე ბევრად არის დამოკიდებული ქარხნის პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება. ეს თვითეულ მუშას კარგად აქვს შეგნებული და ენერგიის დაუზოგავად შრომობს დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

კადრების დიდ ნაკლებობას განვიცდით, მაგრამ გეგმებს ვასრულებთ ნოვატორი და მოწინავე მუშების ხარჯზე. თვითეული მძახავი 36 თითისტარს უნდა ემსახურებოდეს, ფაქტიურად ბევრი უკვე 72 თითისტარს ემსახურება და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს. გაფართოებული ზონის მომსახურებას პირველად სოციალისტური შრომის გმირი ელენე კოწიწაშვილი შეუდგა. ზოგიერთმა ნოვატორმა ახალგაზრდამ კიდევ მეტს მიაღწია, მომხსნელის დაუხმარებლად შესძლო 72 თითისტარის მომსახურება. ეს მართლაც გმირობაა. ამ ნოვატორთა შორის პირველია როზა გოგოლაძე.

ნოვატორი მუშები, რომლებიც 72 თითისტარს ემსახურებიან, ნაცვლად 270-280 კილოგრამისა ცვლაში 550-580 კილოგრამ ქიმიურ ბოჭკოს უშვებენ.

ჩვენი ცვლა ერთსულოვნად გამოეხმაურა ქარხნის ახალ თაოსნობას „მოწინავის დღევანდელი მიჯნა ხვალ კოლექტივის ყველა წევრის მიღწევად უნდა იქცეს". ვიძლევით პირობას, რომ ამ მოწოდებას პირნათლად შევასრულებთ. თუ წელს ჩემს ცვლაში 72 თითისტარს 6 მძახავი ემსახურება, ახლო მომავალში ამ მიჯნას 15 მძახავი მიაღწევს. როგორც ვხედავთ, კოწიწაშვილს მიმდევრები გაუმრავლდა. არის შემთხვევები, როცა რამდენიმე მუშა სხვადასხვა მიზეზით სამუშაოზე არ ცხადდება. იმ დღეს თითქოს გეგმის შესრულებას საფრთხე უნდა ემუქრებოდეს. მაგრამ არა, გვყავს მუშები, რომლებიც სისტემატურად მუშათა ასეთი ნაკლებობის დროს 72 თითისტარს თავისუფლად ემსახურებიან. ასეთები არიან ნელი მელაშვილი, ქეთევან კურტანიძე, ქეთევან ნარიმანიძე, მაყვალა სიბოშვილი.

იმ მუშების რაოდენობა, რომლებიც 72 თითისტარს ემსახურებიან და მოწინავეებს უსწორდებიან, დღითიდღე მატულობს, ეს კი იმის მტკიცე საფუძველს იძლევა, რომ წარმატებით შევასრულებთ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებას.

**ნ. ბირიუკოვა,**

სართავი საამქროს ამომხვევი

1968 წელს მოვედი რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში სამუშაოდ. როცა გავეცანი სართავ და სახვევ მანქანებს, არა მჯეროდა, რომ უამრავი ბობინები ჩემს ნება-სურვილს დაემორჩილებოდნენ, მაგრამ ეს წარმოდგენა მალე გამიქარწყლდა. შრომის მტკიცე დისციპლინამ, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობამ, პროფესიის სიყვარულმა თავისი გაიტანა. დავეუფლე მუშაობის მოწინავე მეთოდებს, 18 ბობინის ნაცვლად 36-ს ვემსახურები.

რით ვაღწევ ამას?

სამუშაოზე 20-25 წუთით ადრე ვცხადდები, ვარკვევ მანქანების ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მდგომარეობას. სამუშაო ადგილი მუდამ სუფთად მაქვს. ყველაფერს ისე ვაწყობ, რომ მუშაობაში რაიმე შეფერხება გამორიცხულია.

გაფართოებულ ზონას რომ ვემსახურები, ამაში დიდად მეხმარება თვითეულ ოპერაციაზე დაზოგილი დრო. ნართით სავსე ბობინების მოხსნას ვანდომებ 3 წამს, ნორმა კი 5-6 წამს ითვალისწინებს, თუ ვიანგარიშებთ, რომ თვითეული ბობინის მოხსნაზე ვზოგავ 2-3 წამს და მას გავამრავლებთ 36 ბობინაზე, რომლებსაც ვემსახურები, გამოვა, რომ საკმაო დროს ვზოგავ.

დღეს ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნარჩენების შემცირებას. თვითეულ ბობინაზე ნართის წვერის სათანადო ადგილზე დამაგრებით საგრძნობლად ვამცირებ ნარჩენებს. ამით მე მივაღწიე იმას, რომ ჩემს ბობინებს შეუმოწმებლად პირდაპირ აწვდიან შესაბამის განყოფილებაში.

ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის დროს არის შემთხვევები, როცა ნართის კონის მიწოდება ერთ-ერთ სამუშაო ადგილზე წყდება. ეს იწვევს სამუშაო ადგილის ხელმეორედ გაწყობას ნართით. ამ ოპერაციის შესრულებას მე ვუნდები 7 წამს, ნორმით კი 12 წამია გათვალისწინებული.

ჩვენს საამქროში მუშაობის მოწინავე მეთოდებს კოლექტივის წევრთა თითქმის 90 პროცენტი ფლობს. სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას ნაკლები დანახარჯებით მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

---

☐ რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წელს ქიმიური ბოჭკოს გამოშვება 1637 ტონით უნდა გაზარდოს, ხუთწლედის ბოლოსათვის კი პროდუქციის გამოშვება, 15,5 ათას ტონამდე გადიდდება.

☐ ათი ნოვატორი მძახავი 20 მუშის საქმეს ასრულებს. თვითეული ნაცვლად 36 თითისტარისა 72-ს ემსახურება და დღეში 500 კილოგრამ ძაფს ამზადებს, გეგმა კი 250 კილოგრამს ითვალისწინებს.



სურათზე: მარცხნიდან — ც. მიგინეიშვილი, ზ. ქუქჩიშვილი, ე. დედოვა, მ. სისოშვილი, მ. ლიპისოვა და ვ. მუშკუდიანი. ეს ნოვატორი მძახავები ნორმით გათვალისწინებული 36-ის ნაცვლად 72 თითისტარს ემსახურებიან და ყოველდღიურ ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ს. პილაძის ფოტო.

---

## ასეთია ჩვენი რეზერვები

**ზ. ქუქჩიშვილი**

ცხელი გაჭიმვის საამქროს ნოვატორი მძახავი.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი საამქროს ცნობილმა მძახავმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. კოწიწაშვილმა პირველად დაიწყო 72 თითისტრის მომსახურება. ყველას გვიკვირდა, როგორ ასწრებდა უამრავი თითისტრის თვალის დევნებას. გვეგონა, რომ ამ სამუშაოს სხვა ვერავინ შეძლებდა. მაგრამ თუ მოინდომებ, თურმე შეუძლებელი არაფერია. ეს ჩვენი მუშების მაგალითით შემიძლია დავამტკიცო. ახლა ჩვენს საამქროში ე. კოწიწაშვილის მიმდევართა რიცხვმა ათეულს გადააჭარბა. ვ. მუშკუდიანი, მ. რობიტაშვილი, ნ. შაბლი, მ. მაქშანოვა, ვ. ნიკიფოროვა, ე. დედოვა, მ. ლიპისოვა, მ. მაისურაძე, რ. გოგოლაძე და სხვები უკვე კარგახანია 72 თითისტარს ემსახურებიან და დღეში 450-500 კილოგრამ ძაფს იძლევიან. მუშათა ნახევარმა მაინც რომ მიაღწიოს ამ დონეს, მაშინ ერთიორად გაიზრდება ამ ძვირფასი ქიმიური ბოჭკოს გამოშვება, აღარ იქნება მუშახელის ნაკლებობის გამო გეგმის ჩავარდნის შემთხვევები.

ვიმეორებ, რომ ნოვატორის დონეზე ასვლა ყველას როდი ძალუძს, მაგრამ მოწინავეთა ნორმის შესრულება ეს არც ისე ძნელი საქმეა. მთავარია მონდომება, პროფესიის სიყვარული.

ეს ინიციატივა, რომელიც ჩვენს საამქროში დაიბადა, ქარხნის ყველა საამქროს მუშისათვის მისაწვდომია. პირადი გეგმები და ვალდებულებები, რომლებიც ნაკისრი გვაქვს, პირნათლად სრულდება, ჩამორჩენილნი თითქმის აღარა გვყავს. ეს კი იმის საწინდარია, რომ სულ მალე მოწინავეების მიჯნა ყველას საკუთრება გახდება.

**ე. დედოვა.**

ცხელი გაჭიმვის საამქროს ნოვატორი მძახავი

მეტალურგებისა და ქიმიკოსების ქალაქში — რუსთავში 1972 წელს კომკავშირის საგზურით კუიბიშევიდან ჩამოვედი. ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ცხელი გაჭიმვის საამქროში მოწაფედ დავიწყე მუშაობა. გავეცანი ნოვატორ მძახავს, სოციალისტური შრომის გმირს ე. კოწიწაშვილს. მეტად დამაინტერესა მისი მუშაობის მეთოდმა. ვუყურებდი, ელვის სისწრაფით როგორ მოძრაობდნენ მისი თითები, და ერთხანს იმედიც კი დავკარგე, ვიფიქრე, ასეთი მძახავი ვერასოდეს გავხდები-მეთქი.

გადიოდა დღეები, სულ უფრო მიტაცებდა სურვილი მალე გავმხდარიყავი კოწიწაშვილის ტოლი. რამდენიმე თვის შემდეგ დამოუკიდებლად დავიწყე მუშაობა, თავისუფლად ვემსახურებოდი ნორმით გათვალისწინებულ 32 თითისტარს.

მაგრამ ამას როდი დავჯერდი. მოსვენება დავკარგე, სულ იმაზე ვფიქრობდი, როდის დავეწეოდი ნოვატორ მძახავებს, ყოველდღიურად ვხვეწდი მუშაობის მეთოდებს. დადგა 1973 წელი, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელიწადი. გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ერთ-ერთი პირველი ჩავები ამ შრომითს ფერხულში და ვალდებულება ვიკისრე მომსახურება გამეწია 72 თითისტრისათვის. პირობას პირნათლად ვასრულებ, ნაცვლად 380 კილოგრამისა ცვლაში 500 კილოგრამ ძვირფას ქიმიურ ბოჭკოს ვამზადებ.

ახლა ჩვენს საამქროში დაიბადა ახალი ინიციატივა — „მოწინავის დღევანდელი მიჯნა ხვალ კოლექტივის ყველა წევრის მიღწევად უნდა იქცეს". ამ პირობასაც შევასრულებთ, ვისაც უყვარს შრომა, თავისი პროფესია, მისთვის შეუძლებელი არაფერია. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ნაკლები დანახარჯებით მივცეთ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

# დაპირებას შევასრულებთ

გვესაუბრება რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი **შ. შარაბიძე.**

☐

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ნამდვილად თავდადებული მუშაობა გაჩაღდა, კომუნისტური შრომის დამკვრელებმა გვიჩვენეს შემოქმედებითი შრომის მაგალითები. დაკვირვებამ ცხადყო, რომ მარტო ერთეულების მაღალნაყოფიერი შრომით ვერ შევასრულებდით იმ დიდ ამოცანებს, მიმდინარე წელს ჩვენი კოლექტივის წინაშე რომ დგას. ამიტომ საქმის ძირფესვიანად შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ შეჯიბრების წინა ხაზზე უნდა დადგეს თვითეული ბრიგადა, ყველა მუშა. და თუ წინათ მიჯნების განსაზღვრისას ზოგჯერ ნაკლებად ვითვალისწინებდით საწარმოო ქვეგანაყოფების შესაძლებლობებს, ახლა ვალდებულებებს საფუძვლად უდევს მუშათა, ბრიგადათა, საამქროთა გააზრებული, ეკონომიურად დასაბუთებული გაანგარიშებანი. ასეთმა მიდგომამ საშუალება მოგვცა არა თუ მთლიანად გამოგვევლინებინა შინაგანი რეზერვები, არამედ აგვემაღლებინა ყველა მუშაკის პირადი პასუხისმგებლობა დასახული ამოცანის შესრულებისათვის.

ყოველივე ეს პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კარგად გაითვალისწინეს და მიმდინარე წელს შეჯიბრება ახლებურად მოვაწყეთ. უპირველეს ყოვლისა მთავარი ყურადღება მივაქციეთ კონკრეტულ ვალდებულებებს. ადრე მუშა ვალდებულებას კისრულობდა დაწესებული ნორმის მიხედვით. წელს ეს წესი მთლიანად შევცვალეთ და დავთქვით, რომ თვითეულმა მუშამ გასულ წელს მიღწეულ დონეს გადააჭარბოს 10-15 პროცენტით. მაგალითად, თუ მგრეხავი ქ. ნარიმანიძე შარშან ცვლაში იძლეოდა 300 კილოგრამ ბოჭკოს, მიმდინარე წელს ვალდებულება იკისრა ყოველდღიურად გამოუშვას 320-330 კილოგრამი ქიმიური ბოჭკო. ცხადია, ეს წესი გავავრცელეთ ყველაზე. შევადგინეთ სიები, შარშანდელ მიღწევებს დავუმატეთ 10-15 პროცენტი და თვითეულმა მუშამ აიღო შესაბამისი ვალდებულება. შედეგები ყოველდღიურად ჯამდება და გამოკრულ სიებში აღინიშნება ვინ როგორ ასრულებს დაპირებას. უნდა ვთქვათ, რომ ამან მეტად აამაღლა პასუხისმგებლობა, გაზარდა ინტერესი მეტი პროდუქციის გამოშვებისათვის. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ფართოდ ვიყენებთ მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმას. მაგალითად, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საამქროებისათვის დაწესებული გვაქვს სამი ჯილდო: პირველი პრემია 250 მანეთი, მეორე — 200 მანეთი, მესამე — 150 მანეთი. ცალკე ფულადი ჯილდოები დაწესებულია საამქროთა უფროსების, პარტიული ორგანიზაციის, პროფორგანიზაციისა და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის, ხოლო ის ნოვატორი მუშები და მოწინავეები, რომლებიც ნაკისრ ვალდებულებას გადაჭარბებით ასრულებენ, პრემია-დანამატს იღებენ.

ყოველი თვის ბოლოს ჯამდება სოციალისტური ვალდებულების შესრულების შედეგები. საამქროებში იმართება კრებები, ისახება კონკრეტული ღონისძიებანი იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც გამოვლინდა გასულ თვეში, აგრეთვე ირკვევა ცალკეული მუშების მიერ გეგმებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზები.

დასამალავი არ არის, რომ ადრე ადგილი ჰქონდა ფორმალიზმს ვალდებულებათა შემუშავებასა და შეჯიბრების ორგანიზაციაში, ზოგჯერ, მაგალითად, ვჯერდებოდით მოწინავეთა დასახელებას, და ვივიწყებდით იმათ, ვინც ჩამორჩა, არ ვუწევდით სათანადო დახმარებას, სერიოზულად არ ვთხოვდით პასუხს შეცდომებისა და ხარვეზებისათვის. ასეთ ვითარებაში თავს არხეინად გრძნობდნენ ის მუშაკები, რომლებიც ადვილად კისრულობდნენ ვალდებულებებს, ხოლო ნაკლებად ზრუნავდნენ შესრულებისათვის.

გაწეულმა მუშაობამ გვიჩვენა, რომ შეგვიძლია დავიწყოთ ახალი შეჯიბრება, რომელიც ითვალისწინებს ნაკლები მუშახელით მეტი პროდუქციის გამოშვებას, მიმდინარე წლისა და საერთოდ ხუთწლედის დავალების გადაჭარბებით შესრულებას. პირველი კვარტალის მუშაობის ღრმა ანალიზმა ნათლად დაგვარწმუნა იმაში, რომ მოწინავეთა შრომის მაჩვენებელს შეუძლია გაუტოლდეს ყველა მუშა, ეს კი საშუალებას მოგვცემს პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ჩვენი ინიციატივა — „მოწინავის დღევანდელი მიჯნა—ხვალ კოლექტივის ყველა წევრის მიღწევად უნდა იქცეს". პირობას გავამართლებთ. ახლა მთავარია შეჯიბრების ყველა მოწინავეს შევუქმნათ მუშაობის ნორმალური პირობები.

მასშტაბური და პასუხსაგებია ხუთწლედის საერთო ამოცანები, მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმები. მათი წარმატებით შესრულებისათვის მთელი სისრულით უნდა გამოვიყენოთ საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დიდი ძალა.

---




ასეთია შრომის ნაყოფიერების ზრდა მიმდინარე ხუთწლედში.

**ტემპი, შრომის ნაყოფიერება — აი რა არის მთავარი**




ასეთია ქიმიური ბოჭკოს გამოშვების ზრდა მიმდინარე ხუთწლედში.

---

☐ ქარხნის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ნაკლები მუშახელით მისცეს სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ქიმიური ბოჭკო.

☐ წინასწარი მონაცემების მიხედვით წელს შრომის ნაყოფიერება 26,9 პროცენტით გაიზრდება, საშუალო ხელფასი 15-18 პროცენტით, თვითეული მუშის საშუალო ხელფასი 160-170 მანეთს მიაღწევს.

☐ მიმდინარე წელს რუსთაველი ქიმიკოსები გეგმის გადამეტებით 100 ტონა ბოჭკოს გამოუშვებენ.

☐ უახლოეს პერსპექტივაში იმავე საწარმოო ფართობზე ახალი მანქანებისა და ტექნოლოგიის დანერგვით. მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებით ქიმიური ბოჭკოს გამოშვება 45 ათას ტონას მიაღწევს.

გვერდი მოამზადა „კომუნისტის" სპეციალურმა კორესპონდენტმა ზ. ჯამასპიშვილმა.

# ერთიანობა და შეკავშირება

17 ივნისი ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა!

(დასასრული).

მაიაკოვსკის რაიონის დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის წევრი მარიამ დიანოზის ასული მაზანიშვილი კოლმეურნეობის კრებამ წამოაყენა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა მაიაკოვსკის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს იამზე ნიკოლოზის ასული მესხი.

მახარაძის ბრეზენტის ფაბრიკის მუშებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საერთო კრებაზე რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ამ ფაბრიკის მუშა ივანე მელიტონის-ძე მამალაძე.

ნათელა მალხაზის ასული სვანიძე — სოფელ ექადიას ჩაქვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ამ მეურნეობის კოლექტივის საერთო კრებამ დაასახელა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

მახარაძის რაიონის „კოლმეურნის" მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა მოწინავე მეარმატურე ზურაბ ანტონის-ძე იაკაძე.

ამბროლაურის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს სოფელ ხიდიკარის კოლმეურნეობის მშრომელებმა მოწინავე კოლმეურნე ნაზიკო მინას ასული ბარსონიძე.

მეწველავე რუსუდან შამშეს ასული დარახველიძე ამბროლაურის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სოფელ ზოლგეულის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკთა საერთო კრებამ.

რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა ამბროლაურის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამ კომბინატის მეაპარატე ბიჭიკო პავლეს-ძე ჯელაძე.

სოხუმის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების" მეჩაიე მიმოზა გუჯუს ასული სალია დაასახელეს ამ მეურნეობის კოლმეურნეთა საერთო კრებაზე სოხუმის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ზემო ეშერის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა სოხუმის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს მეურნეობის მოწინავე მუშა ლამარა ტაჩოს ასული ავიძბა.

სოხუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა სოხუმის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამ მეურნეობის დირექტორი ნიკოლოზ გუძუს-ძე გოგია.

მცხეთის რაიონის მუხრანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა მცხეთის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი ჯემალ ალექსის-ძე მიქელაძე.

ქარხანა „მრეწვკავშირის" დირექტორი ალექსანდრე დავითის-ძე მუავია ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ წამოაყენა მცხეთის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის კოლმეურნეობის წევრებმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს მერგოლურე თამარ პორფილეს ასული მჭედლიშვილი.

ოკამის საბჭოთა მეურნეობის ლამისყანის უბნის მუშა-მოსამსახურეებმა კასპის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ექიმი მარგალიტა პავლეს ასული ღუდუშაური.

კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორი თენგიზ გულის-ძე ალიბეგაშვილი წამოაყენეს რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქარხნის ერთ-ერთი ცვლის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მონაწილეებმა.

ზუგდიდის რაიონის ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა საერთო კრებაზე ზუგდიდის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს მოწინავე მუშა ლიმო ვლადიმერის ასული პერტია.

ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ბოჩია აკაკის-ძე აგირბაია ზუგდიდის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ. (საქინფორმი).

## რადიოს დღის აღსანიშნავად

7 მაისს თბილისში, კულტურის მუშაკთა სახლში, გაიმართა რადიოს დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა კავშირგაბმულობის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ კ. კარგარეთელმა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გ. ინაურმა.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე რადიოცენტრის ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი რ. იგითხანიშვილი, მთავარი საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის სახაზო-საპარატო სამქროს უფროსი დ. ქავთარაძე, თბილისის ფოსტამტის ლაბორატორიის ინჟინერი ს. ხელაძე. (საქინფორმი).

## ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

### „კომუნისტს" უპასუხებს ჟურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორი ჯ. ჩარკვიანი

ჟურნალ „ცისკრის" სარედაქციო კოლეგიამ განიხილა გაზეთ „კომუნისტის" 1973 წლის 1 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ლიტერატურული წუნისა და უხამსობის იშვიათი ნიმუში", რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული ჯ. ტიკარაძის მოთხრობა „ბერბიჭა". ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ სწორად ცნო „კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლა და აღნიშნა, რომ ამ მხატვრულად სუსტი მოთხრობის გამოქვეყნება არ იყო მიზანშეწონილი და გამართლებული. პროზის განყოფილების გამგეს ე. კვიტაიშვილს მიეთითა, ხოლო მოთხრობის ავტორს, ჟურნალის ტექნიკურ რედაქტორს, რომელიც ამავე დროს ნომრის მორიგე იყო, რედაქციის მიერ გამოთქმული შენიშვნების გაუთვალისწინებლობისათვის გამოეცხადა საყვედური.

დაისახა ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, სარედაქციო კოლეგიისა და რედაქციის თანამშრომელთა პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი.

# მსოფლიო დღეს

## ამბები, ფაქტები, მოვლენები

### ბონი — საყოველთაო მოწონება და ინტერესი

დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით მოელის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ქვეყნის პოლიტიკურ წრეებს მიაჩნიათ, რომ ეს ვიზიტი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებაში.

„მივესალმები ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში", — განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრმა ვ. არენდტმა. ეს ვიზიტი უეჭველია ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას ევროპაში, წვლილს შეიტანს აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციაში.

„ფრიდ. კრუპის" კონცერნის გამგეობის თავმჯდომარემ ე. მომზენმა განაცხადა: „1970 წელს მოსკოვში სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების დადების შედეგად, აგრეთვე ლ. ი. ბრეჟნევისა და ვ. ბრანდტის ყირიმის შეხვედრის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ გზაზე შემდეგი დიდი ნაბიჯი იქნება ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი".

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობა მიესალმება ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს" — ასეთი სათაური აქვს წამძღვარებული დასავლეთგერმანელ კომუნისტთა გაზეთის „უნზერე ცაიტის" ერთ-ერთ ნომერს. გაზეთი ბეჭდავს ლ. ი. ბრეჟნევის ბიოგრაფიას, მრავალრიცხოვან მასალებს, რომლებიც ასახავენ საბჭოეთის ხალხთა ყოველდღიურ შრომით ცხოვრებასა და მიღწევებს, საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებს განზრახული აქვთ 19 მაისს ბონში გამართონ საბჭოთა კავშირთან მეგობრობის მიტინგი.

მიმართვაში, რომელიც მიტინგის ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს, კერძოდ, ნათქვამია, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ამ ბოლო წლებში დამყარებული ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების მაუწყებელია. იგი ნიშნავს დაძაბულობის შემდგომ შენელებას და ხელს უწყობს ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

გერმანელთა კომუნისტური პარტიის ბონის ორგანიზაცია თავის მხრივ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წვლილს შეიტანს საბჭოთა კავშირისა და ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებაში.

სტუდენტთა მარქსისტული კავშირი „სპარტაკი" აცხადებს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი შეესაბამება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა პროგრესული ადამიანის ინტერესებს. ჩვენ ვამბობთ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ფედერაციულ რესპუბლიკაში", ხაზგასმულია კავშირის განცხადებაში.

### ბუქარესტი — ნ. ჩაუშესკუს გამოსვლა

5 მაისი. (საქდესი). ქალაქ იასში გაიმართა მასობრივი სახალხო კრება, რომელიც მიეძღვნა 1848 წლის რევოლუციის 125 წლისთავს. კრებაზე გამოვიდა რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩაუშესკუ, რომელმაც აღნიშნა, რომ 1848 წლის რევოლუციური მოძრაობა რუმინეთის პროვინციებში სიმპათიით, მხარდაჭერით და სოლიდარობით სარგებლობდა როგორც დასავლელი, ისე მეზობელი ქვეყნების პროგრესულ მოღვაწეთა, და განსაკუთრებით რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შორის.

რუმინელი რევოლუციონერები, განაგრძო შემდეგ ნ. ჩაუშესკუმ, მუდამ უჭერდნენ მხარს მთელი რევოლუციური ძალებისადმი სოლიდარობას, მათთან თანამშრომლობას, იყვნენ იმათ შორის, ვინც ბევრი რამ გააკეთა აბსოლუტიზმისა და რეაქციის დამხობისათვის.

რუმინეთის კომუნისტური პარტია, აღნიშნა რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, განაგრძობს რუმინელ რევოლუციონერთა ტრადიციებს. მისი სახით ჩვენს ხალხს დღეს ჰყავს ნაცადი ხელმძღვანელი.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია რუმინეთის კომპარტიის X ყრილობისა და ეროვნული კონფერენციის მიერ დასახული პროგრამის შესრულების საქმეში, ღონისძიებანი, რომლებიც მოიწონა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა და კანონები, რომლებიც დიდმა ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა, ნ. ჩაუშესკუმ ხაზი გაუსვა, რომ ისინი მოწოდებული არიან უზრუნველყონ პირობები ქვეყნის მატერიალური და ადამიანთა პოტენციალების უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის, დააჩქარონ საწარმოო ძალების განვითარება და მოდერნიზაცია, აამაღლონ მთელი ხალხის კულტურული და მატერიალური დონე.

რუმინეთი, თქვა ნ. ჩაუშესკუმ, თავისუფლებისა და პროგრესისათვის საერთო ბრძოლის დიადი ანტიიმპერიალისტური ფრონტის აქტიური რაზმია. ჩვენ გვწამს, თქვა ორატორმა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების კურსის განგრძობა უზრუნველყოფს პირობებს მსოფლიოში ახალი ურთიერთობის დამყარებისათვის, საშუალებას მისცემს თვითეულ ქვეყანას — დიდსა თუ პატარას — აქტიური მონაწილეობა მიიღოს ყველა საერთაშორისო საკითხის გადაჭრაში.

ნ. ჩაუშესკუმ დადებითად შეაფასა ჰელსინკის მრავალმხრივ კონსულტაციებზე მიღწეული შედეგები და გამოთქვა აზრი, რომ ისინი ქმნიან პირობებს უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევისათვის უკვე წლევანდელ ზაფხულში.



ამერიკის შეერთებული შტატების ავიაცია კვლავ მასობრივად ბომბავს კამბოჯის დედაქალაქის მისადგომებს. თავდასხმებში მონაწილეობენ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების „ბ-52" ტიპის მძიმე ბომბდამშენები, რომლებსაც ბაზა ტაილანდში აქვთ. სურათზე: ამერიკული თვითმფრინავების ბაზა სატაპიპ-უტაპაოში ტაილანდზე.

კეისტონ-საქდესის ფოტო.

### ნიქოზია — მაკარიოსის განცხადება

7 მაისი. (საქდესი). ადგილობრივ ჟურნალისტებთან ყოველთვიურ შეხვედრაზე კვიპროსის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა კვლავ განაცხადა, რომ კვიპროსის ხინოდის სამი ეპისკოპოსის გადაწყვეტილება წაართვან მას არქიეპისკოპოსის წოდება, უკანონოა და მიღებულია ბერძენი გენერლის გრივასის მითითებით, რომელიც კვიპროსში ეწევა ძირგამომთხრელ საქმიანობას.

მაკარიოსმა აღნიშნა, რომ გრივასის ტერორისტული ჯგუფების მოქმედება საშიშია, მაგრამ დაშინების მათი ტაქტიკა განწირულია ჩასაფუშავად.

### ნიუ-იორკი — პერსპექტიული ურთიერთობა

7 მაისი. (საქდესი). ამერიკის პრესის წამყვანი ორგანოები დადებით შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესს და აღნიშნავენ, რომ ახალი შესაძლებლობანი იხსნება ორ ქვეყანას შორის ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარებისათვის სულ სხვადასხვა დარგში.

საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები „თავიანთი ურთიერთობის ახალ ეპოქაში შედიან, — წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი". — თუ რამდენიმე წლის წინათ ისინი ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ შესაძლო აშკარა კონფლიქტი, ახლა აწარმოებენ მოლაპარაკებას თანამშრომლობის შესახებ მშვიდობის ინტერესებისათვის".

„როგორც ვაშინგტონში მიაჩნიათ, — ხაზს უსვამს გაზეთი, — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან არასოდეს არ ყოფილა ისეთი პერსპექტიული და მტრული დანაშრევებისაგან თავისუფალი, როგორც ახლა".

გაზეთის აზრით, თუმცა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში რჩება გადაუჭრელი პრობლემები, ახლა ამოცანა ის არის, რომ „საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას უფრო მტკიცე საფუძველი შეუქმნან".

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" აღნიშნავს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განვითარებას და წერს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შემდგომი მოლაპარაკების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი იქნება „პერსპექტივა ახალი შეთანხმებების დადებისა ატომური შეიარაღების შეზღუდვის შესახებ". ამერიკის ოფიციალურ პირთა აზრით, ამისათვის კარგი შესაძლებლობანი არსებობს.

### „მინიტმენთა" მეთაური გაათავისუფლეს

7 მაისი. (საქდესი). ქალაქ ატლანტის (ჯორჯიის შტატი) საპყრობილედან გამოუშვეს ულტრამემარჯვენე, ნახევრად სამხედრო საიდუმლო ორგანიზაციის „მინიტმენების" მეთაური რ. დე პიუ, რომელსაც სასროლი იარაღის მარაგის უკანონოდ შენახვისათვის მისჯილი ჰქონდა 11 წლის პატიმრობა, 4 წლის პატიმრობის შემდეგ დე პიუ, რომელსაც „პატიოსანი სიტყვა" ჩამოართვეს, „კარგი ქცევისათვის" გაათავისუფლეს, მაგრამ, როგორც კი საპყრობილედან გამოვიდა, მან მაშინვე განუცხადა ჟურნალისტებს, რომ „მინიტმენები" კვლავაც ისეთი ძალაა, რომელსაც მტრებმა ანგარიში უნდა გაუწიონ".

„მინიტმენები" ფართოდ ცნობილი არიან თავიანთი ტერორისტული საქმიანობით, რომელიც მიმართულია პროგრესულ ორგანიზაციათა წინააღმდეგ.

### პარიზი — ჟაკ დიუკლოს მემუარები

7 მაისი. (საქდესი). ამ დღეებში საფრანგეთის მაღაზიებში გამოჩნდა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ვეტერანის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის, საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრის ჟაკ დიუკლოს მემუარების მეექვსე ტომი. ამ ტომის პუბლიკაციით — იგი მოიცავს 1958-1969 წლების პერიოდს — მთავრდება შესანიშნავი მებრძოლი კომუნისტის ნაამბობი საფრანგეთის მუშათა კლასისა და მისი მოწინავე ავანგარდის — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ჩამოყალიბების, საქმიანობისა და ბრძოლის შესახებ.

### სანტიაგო — საგანგებო წესები ჩილეში

7 მაისი. (საქდესი). ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ხერარდო ესპინოსამ და ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ხოსე ტომამ ხელი მოაწერეს დეკრეტს სანტიაგოს პროვინციაში საგანგებო წესების შემოღების შესახებ.

როგორც აღნიშნულია დეკრეტში, საგანგებო წესების შემოღების მიზეზია ვითარების გამწვავება პროვინციაში უკიდურესად მემარჯვენე დაჯგუფების „პატრია ი ლიბერტადის" პროვოკაციული გამოსვლების შედეგად.

### ლონდონი — მდგომარეობა კამბოჯაში

7 მაისი. (საქდესი). განვლილ დღე-ღამეში კამბოჯის პატრიოტულ ძალებსა და პნომპენის რეჟიმის ჯარებს შორის ყველაზე გაფთრებული ბრძოლები წარმოებდა პნომპენის სიახლოვეს. პატრიოტებმა რაკეტები დაუშინეს სამხარი მასალებითა და საწვავით დატვირთულ გემების დიდ ქარავანს, რომელიც ამერიკის ავიაციის დახმარებით ცდილობდა გაერღვია მეკონგით კამბოჯის ალყაშემორტყმული დედაქალაქისაკენ. რამდენიმე გემი ზუსტი სროლით პატრიოტებმა ჩაძირეს.

წარმატებული ოპერაცია განახორციელეს პატრიოტულმა ძალებმა ნეაკლუონგის სამხედრო ბაზის მახლობლად, რომელიც პნომპენის სამხრეთით მდებარეობს. მათ ალყაში მოაქციეს და ტყვედ იგდეს მოწინააღმდეგის ორი ბატალიონი — 600-ზე მეტი კაცი.

### თეირანი — მწერლის განცხადება

7 მაისი. (საქდესი). „თითქმის მთელი საბავშვო ლიტერატურა, რომელიც ირანში გამოდის, იქმნება დასავლეთის, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების პროდუქციის საფუძველზე, რის შედეგად ირანელ ბავშვებს აქვთ დასავლური წარმოდგენა სამყაროზე", — განაცხადა საბავშვო ლიტერატურის კონფერენციაზე გამომსვლელმა ირანელმა მწერალმა ფერეიდუნ ტონეკაბონიმ, წერს გაზეთი „ქეიჰანი". „ჩვენი ბავშვები არ იცნობენ საკუთარ ლიტერატურას. ჩვენ ვაიძულებთ მათ აზიისა და აფრიკის ხალხებზე იფიქრონ ისე, როგორც ფიქრობენ ამერიკელები", — აღნიშნა ტონეკაბონიმ.

### ამინდის კაპრიზები

ინგლისის მთელ ტერიტორიაზე ზამთარი და გაზაფხული საკმაოდ ღარიბი იყო ნალექებით. წყალთა რესურსების სამმართველოს ცნობით ასეთი მცირე ნალექები მხოლოდ 1749 წელს ყოფილა. სამმართველოს მონაცემებით ნიადაგის წყლების დონე კატასტროფულ მდგომარეობაშია. წყლის მარაგი ილევა ხელოვნურ წყალსაცავებშიც.

ჩვეულებრივად წვიმიანი შოტლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონების სოფლებში წყლის მოხმარება შეზღუდულია. ზოგიერთ მათგანში წყალი კასრებითაც კი შეაქვთ. სასმელი წყლის მოხმარების შეზღუდვა უკვე დიდი ხანია მოქმედებს შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში.

ინგლისის ცენტრალურ რაიონებში მდგომარეობა ნაკლებად საგანგაშოა, რადგან აქ წყლით ამარაგებს მდინარე ტემზა. თუმცა, თებერვალსა და მარტში ტემზის დონე ჩვეულებრივზე ორჯერ დაბალი იყო. წყალთა რესურსების სამმართველოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ, მართალია, ლონდონში წყლის შეზღუდვა არ არის შემოღებული, მაგრამ მოსახლეობას მაინც მისცეს წინადადება მომჭირნედ ხარჯოს წყალი.

ინგლისელი მეცნიერების აზრით, ნალექების ნაკლებობა იმით არის გამოწვეული, რომ არქტიკული ყინულის ცვლილებების შედეგად ჩრდილოეთ ევროპაში დაიწყო ხანგრძლივი მშრალი პერიოდი.

ვ. ვასილეცი,
საქდესის კორესპონდენტი.
ლონდონი.

* * *

აპრილის მესამე დეკადაში არაჩვეულებრივი ძალის თოვლიანმა გრიგალმა გადაუარა იტალიის ცენტრალურ ნაწილს. ნამქერების შედეგად მთლიანად შეწყდა მოძრაობა გზაზე, რომელიც ფლორენციას ბოლონიასთან აკავშირებს. ათასობით ავტოტურისტი, რომელსაც გრიგალმა აპენინის მთებში მოუსწრო, იძულებული გახდა პირდაპირ ავტომანქანებში გაეთიათ ღამე.

ამინდის ჭირვეულობა ამით არ ამოწურულა. 22 აპრილს რომში ამოვარდა ხანმოკლე თოვლიანი ქარიშხალი. იტალიის უხუცესი ადამიანების თქმით, ასეთი რამ იტალიის ისტორიაში არასდროს არ ყოფილა.

ლ. ეგოროვი.
(საქდესი).

### დააკავეს დამნაშავენი

მექსიკის ხელისუფლებმა ორ ამერიკელ კონტრაბანდისტს ჩამოართვეს დაახლოებით 1 მილიონი დოლარის ნარკოტიკები — კოკაინი და მარიხუანა. დაპატიმრებულთ უპოვეს აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღი და ყალბი საბუთები.

### შეჯახება მდინარეზე

ღამით ორასამდე კაცი დაიღუპა მდინარე ბრაჰმაპუტრაზე დაკის (ბანგლადეში) მახლობლად ორი თვითმავალი კარჟაპის შეჯახების შედეგად.

ერთ-ერთი ბორანი, რომელზეც ხამასამდე მგზავრი, ძირითადად ქალები და ბავშვები იყვნენ, მაშინვე ჩაიძირა.

### შემთხვევები გზებზე

საავტომობილო კატასტროფების შედეგად დაღუპულთა რიცხვით იაპონია ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მაგალითად შარშან იაპონიის გზებზე დაიღუპა 15.918 კაცი. მარტო მიმდინარე წლის 30 აპრილიდან 5 მაისამდე იაპონიაში საგზაო შემთხვევების შედეგად დაიღუპა 274 კაცი.

### წყალდიდობა მისისიპზე

მდინარე მისისიპის ადიდების შედეგად ილინოისის, მისურის, კენტუკის, ტენესის, არკანზასის, ლუიზიანისა და მისისიპის (აშშ) შტატებში დაიტბორა 12 მილიონზე მეტი აკრი მიწები. 35 ათასი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა, 26 კაცი დაიღუპა. წყალდიდობით მიყენებული საერთო ზარალი 356 მილიონ დოლარს შეადგენს.

უცნაური ამბები

## შორეულ მერიდიანებზე

# «დიდი წყლის ქვეყანა»




### მსოფლიოს რუკასთან

სსრ კავშირის და გაიანის მთავრობებმა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ წინათ მიღწეული შეთანხმების განსახორციელებლად პირობა დადეს გახსნან საელჩოები მოსკოვსა და ჯორჯტაუნში. ამ სტატიაში ლაპარაკია გაიანაზე, სახელმწიფოზე, რომელიც მდებარეობს სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

1448 წელს კოლუმბი გემით გაემართა სამხრეთ ამერიკის ატლანტის სანაპიროს გაყოლებით სამოგზაუროდ, რომ აღმოეჩინა ზღაპრული ქალაქი მანოა. ინდიელთა ნაამბობით, ქუჩები იქ მოკირწყლული იყო ალმასებით, ხოლო ქალაქს განაგებდა მეფე ელ დორადო (მოოქროვილი). ეს ლეგენდარული ქალაქი და შესანიშნავი ტბა პარიმა თითქოს იყო სადღაც გაიანაში. როცა ესპანელმა მეზღვაურმა გაიანის ნაპირებს მიაღწია, ნაპირზე გადასვლა ვერ შეძლო: გარშემო გაუვალი ჭაობები იყო, ბარდებით დაფარული. კოლუმბმა ამ ადგილებს „ველური ნაპირი" უწოდა და იქაურობას გაეცალა. მას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ოქრო და ალმასები იქვე გვერდით იყო.

მას შემდეგ, რაც ესპანელებმა „პირი იბრუნეს" გაიანისაკენ, მისი დაპატრონებისათვის ბრძოლა გაჩაღდა ინგლისს, საფრანგეთსა და ნიდერლანდს შორის. ხანგრძლივი დავის შემდეგ, რომლის მსვლელობაშიც იგი ხელიდან ხელში გადადიოდა, მათ ბოლოს და ბოლოს ურთიერთშორის გაიყვეს იგი. ასე გაჩნდა სამი გაიანა (ანუ გვიანა, როგორც მათ წინათ უწოდებდნენ): ბრიტანეთის, საფრანგეთის და ჰოლანდიისა (სურინამი).

მაგრამ ბრიტანეთის გაიანის „ველურ ნაპირზე" ინგლისელ კოლონიზატორებს შეტაკება მოუხდათ ინდიელთა მეომარ თავისუფლებისმოყვარე ტომებთან, რომლებიც თავგანწირვით ეწინააღმდეგებოდნენ დამპყრობლებს და არაერთხელ გადაყარეს ისინი ოკეანეში. დროთა განმავლობაში ინდიელთა ნაწილი მოსპობილ იქნა, ნაწილი კი განდევნეს ძნელად მისადგომ მთიან რაიონში ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით. ამჟამად ისინი დარჩნენ არა უმეტეს 30 ათასისა.

ლონდონმა გადააქცია გაიანა, რაც ინდურ ენაზე ნიშნავს „დიდი წყლის ქვეყანას", თავის აგრარულ დანამატად. მხარე ბარაქიანი იყო. იგი მდებარეობს ეკვატორის გვერდით. ამიტომ იქ ზამთარი არ იცის, წლის დროებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება დიდი წვიმების სეზონებით. ეს სეზონი ორია: პირველი — აპრილიდან აგვისტომდე, მეორე — ნოემბრიდან იანვრამდე. გაიანაში მთებს უჭირავს ტერიტორიის ათი პროცენტი, ტროპიკული ტყეებით დაფარულია 85 პროცენტი. დანარჩენი ხუთი პროცენტი — ეს არის საკმაოდ ნაყოფიერი მიწის ვიწრო სანაპირო ზოლი. და შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ამ ზოლში, რომლის სიგანეა 12 და სიგრძე 200 კილომეტრი, თავმოყრილია ძირითადი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება და ქვეყნის თითქმის მთელი მოსახლეობა, რომელშიც 700 ათასზე მეტი კაცი ითვლება. აქვეა მთავარი ნავსადგური და დედაქალაქი ჯორჯტაუნი, რომელშიც გაიანელთა თითქმის მეოთხედი ცხოვრობს. ზოლი მდებარეობს ზღვის დონეზე რამდენადმე დაბლა. მიუხედავად იმისა, რომ მდინარეების ნაპირებს მუდამ ჯებირებით ამაგრებენ, აქ ხშირია წყალდიდობა. ამ წყალდიდობათა გამო, განსაკუთრებით მდინარეთა გადმოსვლის დროს თავსხმების პერიოდებში, რომლებიც თითქმის მთელ დაბლობს ერთიან ზღვად აქცევენ, ინდიელებმა ამ მხარეს „დიდი წყლის ქვეყანა" უწოდეს.

გაიანის კოლონიური ეკონომიკა ემყარებოდა შაქრის ლერწმის, ბრინჯის, ყავის, კაკაოს, ციტრუსოვნების და სხვა ტროპიკული ხილის მოყვანას. ეს მიმართულება უკანასკნელ დრომდე რჩებოდა. პლანტაციებში სამუშაოდ კოლონიზატორებმა თავის დროზე წამოიყვანეს მონები აფრიკიდან. მონობის გაუქმების შემდეგ იქ მიიყვანეს ინდიელები (ახლა ისინი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ). გარდა ამისა, ინგლისელ ბიზნესმენებს გაიანიდან გაჰქონდათ ხის მასალა, ალმასები, ოქრო და ძვირფასი ქვები.

უკანასკნელ ხანს ქვეყანაში გაძლიერებით აღწევდა ამერიკული კაპიტალი, რომელმაც უკან დაახევინა ინგლისურ კაპიტალს, უწინარეს ყოვლისა სამთამადნო მრეწველობაში. მისი შეღწევა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გაიანაში აღმოჩენილ იქნა მსოფლიოში უდიდესი საბადოები ბოქსიტებისა (მაკენზის რაიონში, მდინარე დემერარის ორივე ნაპირზე), აგრეთვე მარგანეცისა და სხვა მადნების მნიშვნელოვანი მარაგი. ბოქსიტები ხელთ იგდო „დემერარა ბოქსაიტ კომპანიმ" („დემბა") — „ალუმინიუმ კომპანი ოფ კანადას" ფილიალმა, რომლის ზურგს უკან დგას ამერიკული ბიზნესი, ხოლო მარგანეცისა და სხვა მინერალების მოპოვება — ამერიკულმა კომპანიამ „რეინოლდს მეტალსმა".

კოლონიზატორთა პარპაშის შედეგად გაიანის ეკონომიურმა განვითარებამ მეტად ცალმხრივი ხასიათი მიიღო. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა სოფლის მეურნეობას არ შეეძლო გამოეკვება ადგილობრივი მოსახლეობა. იძულებული იყვნენ და დღემდე იძულებული არიან სურსათის ნაწილი ოკეანის გაღმიდან შემოზიდონ, თუმცა სავსებით შესაძლებელია მისი ადგილზე წარმოება. გაიანელებს აწუხებდათ უმუშევრობა, სიღატაკე, შიმშილი, ავადმყოფობა, უწიგნურობა.

ათეულობით წლების მანძილზე გაიანის ხალხი ეწეოდა ბრძოლას თავისი სამშობლოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის. ამ ბრძოლის შედეგად 1966 წლის 26 მაისს გაიანა გამოცხადებულ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის შემადგენლობაში, ხოლო ოთხი წლის შემდეგ (1970 წლის 23 თებერვალს) — გამოცხადდა რესპუბლიკად. მისი პირველი პრეზიდენტი არჩეულ იქნა ეროვნული კრების (პარლამენტის) სპეციალურ სხდომაზე, რომელსაც კონსტიტუციით ეკუთვნის საკანონმდებლო ძალაუფლება. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა საბჭო მმართველ პარტია სახალხო ეროვნული კონგრესის ლიდერის პრემიერ-მინისტრ ფორბს ბერნჰემის მეთაურობით. ყველაზე მასობრივი სახალხო პროგრესული პარტია, რომლის ლიდერიც არის ჩედი ჯაგანი, ოპოზიციაშია.

გაიანის რესპუბლიკა ახლა დგამს ნაბიჯებს თავისი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. ამ მიზნით მიღებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შეიზღუდოს უცხოეთის მონოპოლიების ბატონობა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ნაციონალიზებულ იქნა უცხოეთის კომპანიები სამთომომპოვებელ მრეწველობაში, რომელთა წილი საერთო ეროვნულ პროდუქტში ოცი პროცენტს უდრის. 1971 წელს მთავრობამ შექმნა სახელმწიფო სამთამადნო კომპანია „გაიანა ბოქსეიტ კომპანი". („გაიბა"), რომელმაც პირველსავე წელს გაადიდა მადნის მოპოვება. ამას წინათ ჯორჯტაუნში რომ გამოვიდა, პრემიერ-მინისტრმა ფ. ბერნჰემმა აღნიშნა პირველი წარმატებანი ამ კომპანიისა, აგრეთვე ნაციონალიზებული ხის გადამამუშავებელი საწარმოებისა, რომლებიც წინათ ინგლისელებს ეკუთვნოდა.

მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო გამოისყიდოს და გლეხებს მიჰყიდოს პლანტაციები უცხოელი შაქრის მაგნატებისა, რომლებიც ბატონობდნენ ეკონომიკის ამ დიდმნიშვნელოვან დარგში, რაც ეროვნული ექსპორტის ღირებულების მესამედ ნაწილს იძლევა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ქვეყანაში სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს განსაკუთრებით გლეხებმა. მრავალი წლის მანძილზე სოფლის მშრომელნი მამაცურ ბრძოლას ეწევიან მიწისათვის. ხშირად, შიმშილითა და გაჭირვებით სასოწარკვეთილებამდე მიყვანილნი, ისინი ძალით იგდებენ ხელში უცხოელთა კუთვნილ პლანტაციებს. გლეხები ცდილობენ მიაღწიონ ამ პლანტაციების კონფისკაციას რაიმე გამოსყიდვის მიუცემლად და უფასოდ გაინაწილონ ისინი. სოფლის მეურნეობაში ისინი მხარს უჭერენ პროგრესულ გარდაქმნებს, რომლებიც ბოლოს მოუღებდნენ უმუშევრობას და შიმშილს სოფლად, აგრეთვე კვების პროდუქტების იმპორტს. მათ მიაჩნიათ, რომ მთავრობის გადაწყვეტილება გამოსყიდვის შესახებ არ შეესაბამება ქვეყნის საჭიროებებს. ეს კონფლიქტი ხშირად იქცევა გლეხების გააფთრებულ შეტაკებებად პოლიციასთან.

გაიანაში სხვაც ბევრია ჯერ გადაუწყვეტელი სოციალურ-ეკონომიური პრობლემები, რომლებიც მემკვიდრეობად დარჩა კოლონიური დროებიდან. მაგალითად, გადაწყვეტას მოელის ჯანმრთელობის დაცვის, წერა-კითხვის უცოდინარობის, ავადმყოფობათა ლიკვიდაციის პრობლემები. ჯერ კიდევ დიდია ქვეყნის საგარეო ვალი უცხოელი ბობოლებისადმი, რომელიც 200 მილიონამდე დოლარს შეადგენს. ჯერ კიდევ ელის ათვისებას ვრცელი შიდა რაიონები, სადაც აურაცხელი განძი იფარება.

საერთაშორისო ასპარეზზე ჯორჯტაუნის მთავრობა შეუერთებლობის პოლიტიკას ახორციელებს. იგი ავითარებს ურთიერთხელსაყრელ კავშირს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, თუმცა ვაჭრობაში მთავარი პარტნიორები კვლავ ინგლისი, აშშ, კანადა არიან. სპეციალურ განცხადებაში გაიანის სავაჭრო პალატამ გამოთქვა ამ ქვეყნის დაინტერესება სსრ კავშირთან თანამშრომლობით, ეროვნული მრეწველობის, განსაკუთრებით სამთო-მომპოვებელი მრეწველობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

შეთანხმება ორივე ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ მიღწეულ იქნა ჯერ კიდევ 1970 წელს. ამასწინანდელი გადაწყვეტილება მოსკოვსა და ჯორჯტაუნში საელჩოების გახსნის შესახებ უეჭველად სტიმულს მისცემს გაიანასა და სსრ კავშირს შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას სავაჭრო, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში.

ა. კოზლოვი,
(საქდესი).



# ერთი ოჯახის გაზაფხული

### ფოტოაპარატით — საქართველოში







ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტრაქტორისტ გურამ ქუმელაშვილის ოჯახმა ახალმოსახლეობა გადაიხადა. აგურის ორსართულიანი სახლი ოთხი ოთახითა და ღია მზიანი აივნით, გაზაფხულზე გაშლილი იასამნის ბუჩქებით გარშემოვლებული, აღიმართა საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურაში.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის შარშანდელმა შემოსავალმა 717 ათას მანეთს გადააჭარბა. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაც მაღალი იყო. ოჯახის უფროსმა ქუმელაშვილმა 298 კაც-დღე გამოიმუშავა და 2.062 მანეთი მიიღო. 0,25 ჰექტარ საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილი ორნახევარი ტონიდან ოჯახმა დამამზადებლებს ტონანახევარი ყურძენი მიჰყიდა და კიდევ 800 მანეთი მიიღო. ამრიგად, ქუმელაშვილების წლიურმა შემოსავალმა თითქმის 3 ათასი მანეთი შეადგინა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ოჯახში სამი ბავშვია — ორი მოსწავლე და ერთი პატარა გოგონა და მათი კვება ძირითადად პირადი დამხმარე მეურნეობის ხარჯზე ხორციელდება, რჩება საკმაო ფული ტანისამოსის, საოჯახო ნივთების, წიგნების შესაძენად, კულტურულ-მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამიტომ კოლმეურნის ოჯახის სახლშია ახალი ავეჯი, მაცივარი, ტელევიზორი. ხოლო რამდენადაც ქუმელაშვილის ოჯახი განსაკუთრებით როდი განსხვავდება ყანდაურაში მცხოვრები დანარჩენი 797 ოჯახისაგან, გასაგები გახდება, რატომ არის, რომ სოფლად გახსნილ ახალ უნივერმაღში საქონელი გაუყიდავი როდი რჩება.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტები ეწვივნენ ტრაქტორისტ გურამ ქუმელაშვილს და შეეცადნენ რამდენიმე სურათით ემბნათ კოლმეურნის ოჯახის ერთი დღის ცხოვრებაზე.

• • •

**სურათებზე:** ზემოთ ტრაქტორისტი გურამ ქუმელაშვილი; ქვემოთ — მექანიზატორები ოთარ გრიქულოვი, გურამ ქუმელაშვილი და მევენახე მიხეილ წიკლაური სამუშაოდან ბრუნდებიან; სასიამოვნოა თავისუფალ საათს გაზაფხულის მზეზე ოჯახის მეთაური უფროს შვილებთან მეექვსეკლასელ თემურთან და მეოთხეკლასელ თინათინთან ერთად.

---

## რატომ უნდა ვაპატიოთ

### ბილწსიტყვაობისათვის — სასჯელი

**ერთხელ** უკვე მომიხდა „კომუნისტში" დამებეჭდა პატარა წერილი „ბილწი სიტყვა". არ მეგონა, რომ ამ უმსგავსოიის მიზეზით კვლავ დამჭირდებოდა კალმის ხელში აღება. სამწუხაროდ, საჯაროდ გამოსვლა საჭირო გახდა ჩვენებური ადათ-წესის, ოდითგან დადგენილი და დაკანონებული, ადამიანის ღირსების შეურაცხმყოფელი, უმარტივესი წესის დარღვევის გამო.

არა მგონია ჩვენი საზოგადოებრივი აზრის დარაზმვა იყოს საჭირო ბილწი სიტყვის ხმარების წინააღმდეგ, თუნდაც იმიტომ, რომ ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა არც ხმარობს და ვერც იხმარს ბილწ სიტყვას. ეს ასეა, ოღონდ, ხალხით სავსე ავტობუსში ან ტროლეიბუსში ერთადერთმა ადამიანმაც რომ იხმაროს ბილწი სიტყვა, ესეც საკმარისია, რომ შეილახოს ასი, თუ მეტის არა, მგზავრის თავმოყვარეობა, დაირღვეს საზოგადოებრივი წესრიგი.

ამას წინათ, სალამოს, სამუშაოდან შინ ვბრუნდებოდი, ლენინის მოედანზე სამმა ახალგაზრდამ მიიქცია ჩემი ყურადღება. ორი უეჭველად ბიჭები იყვნენ, ისე კი ვარცხნილობით ქალებს ჰგავდნენ. ეს ახალგაზრდები ფრიად თანამედროვე ყაიდაზე იყვნენ გამოწყობილნი. გოგონა ბიჭურად იყო შეკრეჭილი, კოხტად ეცვა, ფერუმარილი არ აკლდა, წარბები, წამწამები ჩაშავებულ-ჩალურჯებული ჰქონდა. მისი ყურები, თითები ალბათ ძვირად ფასობდა — თვალმარგალიტით და ოქროთი იყო გავსებული. ნასვამი არ ყოფილან, მგონი არც კამათობდნენ.

მაგრამ არა მგონია ერთმანეთისადმი მათ მიმართვას საუბარი ან ლაპარაკი დავარქვათ. ორი თუ სამი წესიერი ნორმალური ქართული სიტყვის შემდეგ ყოვლად საზიზღარი, უშვერი, ბილწი სიტყვა ისმოდა.

ისეთი „დახვეწილი", „რაფინირებული" მრავალვარიანტიანი უშვერი სიტყვების კომბინაცია, იმ საღამოს რომ მოვისმინე, ჩემს ყურს ჯერ არ გაეგონა. სახლში ნერვებმოშლილი მოვედი. სტუდენტ შვილიშვილს გარდა არავინ დამხვდა. — რა მოგივიდა, თვალები რამ აგიმღვრია, სისხლის წნევამ ხომ არ აგიწია, — მკითხა ბიჭმა.

— თუ კაცი ხარ, გამაგებინე, — ვუთხარი მე, — ეს ერთი შეხედვით თითქოს ნორმალური ახალგაზრდები რატომ ილანძღებიან, წამდაუწუმ რატომ ხმარობენ ბილწ სიტყვებს-მეთქი?

ყმაწვილმა ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა შემომხედა და დინჯი, წყნარი ხმით მითხრა: ნუთუ არ იცი, ეს ახლებური ჟარგონია, მაგას კალამბურს ეძახიან, ბილწი სიტყვის ხმარება ახლა მოდაა, გოგონებიც ასეთ სიტყვებს ხმარობენო.

აი თურმე რა ყოფილა, დედის გინება, მშობლების, უფროსების, ერთმანეთის ლანძღვა, ბილწი სიტყვის ხმარება, არც მეტი და არც ნაკლები, ზოგიერთისათვის ჟარგონი, კალამბური გამხდარა და ენაბილწობა მოდაში შემოსულა.

ვერ მივხვდი ჟარგონი, კალამბური, მოდა აქ რა მოსატანია.

ბილწი სიტყვის ხმარება თავაშვებულობა, უზრდელობა და ალვირახსნილობაა, მთელ რიგ შემთხვევებში ზნეობრივი დაცემულობის, გარყვნილების, დეგენერაციის სიმპტომია.

ასეთი ანტისაზოგადოებრივი ქცევის წინააღმდეგ მარტოოდენ ნოტაციების კითხვით, ჭკუის დამრიგებელი საუბრებით, მამაშვილური ალერსიანი ზემოქმედებით, როგორც ჩანს, საქმეს არ ეშველება.

ლანძღვა-გინება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაა, წესრიგის დამრღვევებს კი კანონი სჯის და უზრდელი ახალგაზრდა თუ ხანში შესული ენაბილწი ადამიანი კანონის წინაშე უნდა აგებდეს პასუხს.

ლენინის მოედანზე, სადაც ზემოთ აღწერილი ეს ბილწი ახალგაზრდები შემხვდნენ, მოქალაქემ ქუჩაზე მოძრაობის წესები რომ დაარღვიოს, უადგილო ალაგას რომ გადაკვეთოს რუსთაველის პროსპექტი ან პუშკინის ქუჩა, იმ წუთშივე გაისმის მილიციელის სტვენა. მოქალაქე თუ არ დაემორჩილა, ჯიუტად განაგრძო გზა, მას კვლავ აფრთხილებენ და, თუ საჭირო გახდა, აჯარიმებენ, უკიდურეს შემთხვევაში მილიციის განყოფილებაში მიჰყავთ. საქმეს რომ ჩაუკვირდეთ, ჯიუტი მოქალაქე ქუჩის მოძრაობის წესებს რომ არღვევს, პირველ რიგში საკუთარ სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს. ჩვენი მილიცია მისი ინტერესებისათვის იღვწის. ენაბილწი ადამიანები კი, მათ შორის ახალგაზრდებიც, ზიანს აყენებენ არა მარტო თავის თავს, არამედ საზოგადოებას, შეურაცხყოფენ ჩვენს წმიდათაწმიდა ჩვევებს, საუკუნეების მანძილზე ჩვენს შეგნებაში განმტკიცებულ შეხედულებებს, დედისადმი, ახლობლისადმი, ადამიანისადმი ღრმა პატივისცემის სათუთ გრძნობებს.

რატომ უნდა ვაპატიოთ მათ ასეთი დანაშაული?

ეს სინდისგარეცხილი, ქუჩაში მოყიალე უთვისტომო ვიგინდარები ურეკავენ ტელეფონით სრულიად უცნობ ადამიანებს, შეურაცხყოფენ, ილანძღებიან და თითქოს დიდი გმირობა ჩაიდინეს, ცინიკურად ხარხარებენ. ვინ არიან ისინი? განა არ შეიძლება მათი ალაგმვა? ჩვენ გვესმის, რომ ეს მოვლენები გამოიწვია იმ უდისციპლინობამაც, მორალური გახრწნის შემთხვევებმა, ბოლო წლებში რომ აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში. როდესაც ჩვენ საბოლოოდ აღვადგენთ, განვამტკიცებთ საბჭოურ დისციპლინას, რომელსაც ხშირად არღვევდნენ თავგასული სქელკიბიანი ადამიანები, მაშინ ალბათ სხვა მორალური ხასიათის საკითხებიც მოგვარდება და ენაბილწებიც მორჯულდებიან. მაგრამ ნუ მოვუცდით დიდი პრობლემური საკითხების საბოლოო მოგვარებას, ენაბილწი ადამიანების ალაგმვას დიდი სახელმწიფო ხასიათის ღონისძიებათა ჩატარება არ სჭირდება.

ამ შენიშვნების რედაქციაში წასაღებად მოვემზადე, ქუჩაში გამოვედი და უფრო საზიზღარი რამ მოვისმინე. მესამე თუ მეოთხე კლასის სამი მოსწავლე უბილწესი სიტყვებით ისეთი გაშმაგებით ლანძღავდნენ ერთმანეთს, რომ ასეთი რამ არ მსმენია. მოთმინების ფიალა აივსო, თავი ველარ შევიკავე და... ისეთი გაკვეთილი მიიღეს ამ ბიჭებმა, რომ ალბათ სიცოცხლის მანძილზე ვერ გაბედავენ ცუდი სიტყვის ხმარებას.

განმაცვიფრა ერთმა გარემოებამ. ამ ბიჭების შორიახლო მოაბიჯებდნენ იმ სკოლის მასწავლებლები, სადაც ეს ყმაწვილები სწავლობენ. მასწავლებლებს ჩემზე ცუდად როდი ესმოდათ ბიჭების ლანძღვაგინება. აქვე იყვნენ მშობლები, რომელნიც ბავშვების შინ წასაყვანად მოსულიყვნენ. მათ აინუნშიც არ ჩაუგდიათ ბავშვების ალვირახსნილობა.

ასეთი სრულიად შეუწყნარებელი დანაშაულებრივი გულგრილობის ბრალიც ხომ არ არის ზოგიერთი, თითოოროლა ახალგაზრდის მორალური დეგრადაციის ეს ნიშანიც?

**ვლ. მაჭავარიანი.**

---

**შემთხვევები**

## ტყე დაწვას გადაარჩინეს

**მზიანი** დღე იდგა. ზესოფლელი პიონერები ნელი და მადონა ბერიძეები სკოლიდან ბრუნდებოდნენ. უცებ ტყეში ხანძარი შენიშნეს. მოსწავლეებს არ დაუყოვნებიათ, სირბილით მიიჭრნენ კანტორის ეზოში თავმოყრილ ხალხთან. ეს ამბავი გააგებინეს.

ცეცხლმოდებულ ტყესთან სასწრაფოდ გაჩდნენ კოლმეურნეები — ამირან, შოთა და ფელუშ ბერიძეები, გურამ ავალიანი და სხვები. ცეცხლის ალი უკვე მძვინვარებდა. სახანძრო დაცვა არსაიდან არ მოუდგებოდა ტყეს. მამაცმა მშრომელებმა მოისაზრეს და ორას კვადრატულ მეტრ ფართობ ტყეს თხრილი შემოავლეს, ცეცხლს გავრცელების საშუალება არ მისცეს.

კოლმეურნეთა მოფიქრებულმა მოქმედებამ შედეგი გამოიღო. ათობით ჰექტარი ტყე დაწვას გადარჩა.

**ნ. ფარტენაძე.**

ქედა.

**ცხაკაია.** (საკ. კორ.). ელექტროქვესადგურის სამორიგეოს აცნობეს, რომ მაღალი ძაბვის ელექტროსადენის ბოძს ცეცხლი გაუჩნდა. გავრცელების შემთხვევაში იგი დაემუქრებოდა მახლობლად მდებარე ქარხანას და სხვა დაწესებულებებს. ადგილზე დაუყოვნებლივ ჩავიდნენ ელქსელების უფროსი ოსტატი მ. ადამია და ოსტატი ვ. პირტახია. მათ დიდი გამბედაობა და სიმამაცე გამოიჩინეს — ვ. პირტახია სასწრაფოდ ავიდა 15 მეტრიან ცეცხლმოდებულ ბოძზე და ამხანაგის დახმარებით შეუდგა ცეცხლის ჩაქრობას.

ხანძრის ლიკვიდაციის შემდეგ მ. ადამიამ და ვ. პირტახიამ დაზიანებული ხაზი შეაკეთეს. ქსელმა კვლავ ნორმალურად დაიწყო მუშაობა.

---

## სკოლა — გამოფენის მონაწილე

**რუსთავი.** (საკ. კორ.). სწავლება სანიმუშოდ მოაწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე შექმნილმა მუშა-ახალგაზრდობის ცვლიანმა სკოლამ. ამ დღეებში სკოლის დირექციამ მიიღო სასიხარულო ცნობა — სკოლა გახდა სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის მონაწილე.

ამჟამად სკოლაში 650 ახალგაზრდა მუშა სწავლობს. ქარხანას და სკოლას შორის მჭიდრო ურთიერთობა არსებობს. მესამე წელია მუშა-ახალგაზრდობისათვის სახელმძღვანელოებსა და სხვა ლიტერატურას თვით ქარხანა იძენს. გარდა ამისა საწარმო საშეფო დახმარებას უწევს სკოლას, ეხმარება რემონტების ჩატარებაში, მეთოდური კაბინეტების მოწყობაში და სხვ. განსაკუთრებით მას შემდეგ განმტკიცდა სკოლისა და ქარხნის კავშირი, რაც გამოცხადდა ბრძოლა დევიზით — „ყველა ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება". ამ მხრივაც მეტალურგიულ ქარხანასა და მასთან არსებულ მუშა-ახალგაზრდობის სკოლას რესპუბლიკაში ბადალი არა ჰყავს. გამოფენაზე სხვა საინტერესო მასალებთან ერთად წარდგენილი იქნება კინოფილმი „სკოლა და ქარხანა", რომელიც რუსთაველ მეტალურგთა სწავლებას ეძღვნება.

## ჰიგიენის სახლი

**გურჯაანი.** (საკ. კორ.). მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელს კიდევ ერთი ახალი ობიექტი შეემატა. ლენინის ქუჩაზე დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა „ჰიგიენის სახლის" ორსართულიანი შენობა.

„ჰიგიენის სახლში" მშრომელთა სამსახურში ჩადგა უახლესი მოწყობილობით აღჭურვილი თეთრეულის სამრეცხაო, ქიმიური წმენდის საამქრო და ქალთა სალონი.

## აშრიალდება ტყე

**ქუთაისი** (საკ. კორ.). ქალაქის სატყეო მეურნეობის მუშაკები მომზადებული შეხვდნენ წლევანდელ გაზაფხულს. ახალი ტყეები გაშენდება 70 ჰექტარ ფართობზე, დაირგვება 430 ათასი ძირი მცენარე.

დიდი ყურადღება ეთმობა ქალაქის მწვანე ზონის გაფართოებას. 25 ჰექტარზე დაირგვება 125 ათასი ძირი ფიჭვი, თერჯოლის რაიონში გატყევდება ეროზირებული ფართობები 28 ჰექტარზე.

მიმდინარე წელსვე საჭირო ნერგების მისაღებად მოეწყობა ე. წ. „სკოლა-სანერგეები", საიდანაც მიღებულ იქნება მილიონამდე ძირი ნერგი.

---

**საქართველოს მთა-ბარში**

## საქართველოს ზღვაოსანთა წვლილი

**ბათუმი.** (საკ. კორ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო ტვირთზიდვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. გასულ ოთხ თვეში საქართველოს ზღვაოსნებმა 40 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი სახალხო მეურნეობის ტვირთი გადაზიდეს. ისინი მცირე და დიდ კაბოტაჟში გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ. სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტანკერების „ასპინძის", „ფრიდრიხ ენგელსის", „კიროვის", „ბორჯომის", „მაშტაგის" ეკიპაჟები, აგრეთვე მშრალი ტვირთის გადამზიდი გემები „ნიკო ნიკოლაძე" და „ფილიპე მახარაძე".

ზღვაოსნებს მხარში უდგანან ბათუმელი მენავთსადგურეები, გასულ ოთხ თვეში მათ ათობით საბჭოთა და საზღვარგარეთის გემი დაამუშავეს და სატვირთო ოპერაციებზე 700-ზე მეტი გემსაათი დაზოგეს.

## ხელოვნების ამბები

**მახარაძე.** (საკ. კორ.). აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა ამ დღეებში კონცერტი გამართა სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კულტურის სახლში.

სახელმწიფო ანსამბლის შემოქმედებითი კოლექტივის (ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ჩხიკვიშვილი, მთავარი ქორეოგრაფი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. ხაბაძე) გამოსვლას ნატანებელ მაყურებელთა მოწონება ხვდა.

**ახმეტა.** (საკ. კორ.). სოფელ ქვემო ალვანის კულტურის სახლის (დირექტორი მ. ცოცარიძე) აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები ეწვივნენ ალვანის საბჭოთა მეურნეობის სანერგესანამყენე განყოფილების მშრომელებს. შესვენების დროს მათ ველად ჩაატარეს საუბრები, მომღერალთა გუნდმა შეასრულა სიმღერები, რასაც მოჰყვა სკეტჩები „ხათაბალა", „სატელეფონო სადგური" და სხვ. შემდეგ „მწვანე სცენაზე" წარმატებით გამოვიდნენ მოცეკვავეები.

---

## ჭადრაკი

### ქალთა საერთაშორისო

**მეათე** ტურში ერთმანეთს შეხვდნენ საპრიზო ადგილების ძირითადი პრეტენდენტები: კონოპლიოვა-გაფრინდაშვილი და ალექსანდრია-შული. მსოფლიოს ჩემპიონმა აშკარად მოსაგებ პოზიციას მიაღწია კონოპლიოვასთან. პარტია გადაიდო. გაფრინდაშვილს ორი ზედმეტი პაიკი აქვს და ალბათ კიდევ ერთ გამარჯვებას მოიპოვებს. თუ მან ფაქტიურად უკვე გაინაღდა პირველი პრიზი, ბრძოლა მეორე ადგილისათვის მეტად გამწვავდა. ალექსანდრიამ წააგო შულთან. ახლა მეორე პრიზის ძირითადი პრეტენდენტები არიან შული, ალექსანდრია და კონოპლიოვა. ჩიბურდანიძემ ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა — ამჯერად ხანდსურენთან. ანდრეევამ მოუგო პაიდაროვას, კალხბრენერმა — გაჩეჩილაძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ ლიტმანოვიჩი და ბეტჰერი.

გუშინ მეთერთმეტე ტურში გაფრინდაშვილმა მოუგო ლიტმანოვიჩს, ალექსანდრიამ — ხანდსურენს, კონოპლიოვამ — გაჩეჩილაძეს, კობაიძემ — ბეტჰერს. ანდრეევა და კალხბრენერი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

## რამდენიმე სტრიქონით

● **კალათბურთი.** სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართა ტურნეს მეხუთე მატჩი. ეს იყო შეხვედრა ქალაქ ინდიანოპოლისში აშშ-ის ნაკრებთან, რაც დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 83:75 (43:32). საბჭოთა და ამერიკელი კალათბურთელების შემდეგი შეხვედრა გაიმართება ნიუ-იორკის ცნობილ დარბაზში „მედისონ სკვერ გარდენში".

● **ჭიდაობა.** გუშინ მადრიდში, ევროპის ჩემპიონატზე ძიუ-დოში, რომელიც დაიწყება 10 მაისს, გაფრინდა სსრ კავშირის ნაკრები. ჩვენს გუნდში საქართველოდან შედიან — ოლიმპიური ჩემპიონი, გორელი შოთა ჩოჩიშვილი და თბილისელები გივი ონაშვილი და გურამ გოგოლაური.

● **მძლეოსნობა.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა კლაუს ვოლფერმანმა (გფრ) ლევერკუზენში გამართულ შეჯიბრებაზე შუბი ტყორცნა 94 მეტრსა და 8 სანტიმეტრზე, რაც 28 სანტიმეტრით აღემატება საბჭოთა მძლეოსნის იანის ლუსისის მსოფლიოს რეკორდს.

● **ალპინიზმი.** კვლავ დაპყრობილია მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა (8.848 მეტრი ზღვის დონიდან). ეს მოახერხეს იტალიელებმა მირკო მინუცომ და რინალდო კარელმა, აგრეთვე მათმა გამყოლებმა—შერპებმა ლხაპკა თენსინგმა და ისამბუკხუ თამანგმა.

● **ფეხბურთი.** რუმინეთის ნაკრებმა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ტირანაში ანგარიშით 4:1 დაამარცხა ალბანეთის გუნდი, სათავეში ჩაუდგა მეოთხე ევროპული ზონის ტურნირს. რუმინელებს სამი შეხვედრის შემდეგ 5 ქულა აქვთ.

## ვინ რამდენი მოიგო?

### „სპორტლოტოს" XII ტირაჟის შედეგები

„**სპორტლოტოს**" საქართველოს ზონალურ სამმართველოში ცნობილი გახდა მორიგი, მე-12 ტირაჟის შედეგები. საქართველოში „სპორტლოტოს" სამმა მოყვარულმა შეძლო ზუსტად აღენიშნა სპორტის ხუთ-ხუთი სახეობა, რისთვისაც მათ ხვდათ მოგება 4.543 მანეთი თვითეულს.

212-მა „მოასპარეზემ" ამოიცნო სპორტის ოთხოთხი სახეობა. თვითეულს ხვდა მოგებად 63 მანეთი, ხოლო 4.344 „სამოსანი" სამ-სამი ნომრის გადახაზვისათვის მიიღებს ოთხ-ოთხ მანეთს.

**გ. ფაილოძე.**

---

**ფეხბურთი**

## კაპიტანი ბრძოლისაკენ უხმობს

„**დინამო**" თბილისი — „დნეპრი". დნეპროპეტროვსკი — 2:0 (0:0).

6 მაისი, თბილისი, „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი ვ. რუდნევი (მოსკოვი).

„**დინამო**" — გოგია, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჩელიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, წერეთელი, ყიფიანი, ლ. ნოდია (რეხვიაშვილი).

„**დნეპრი**" — კოლტუნი, არტიუხი, ნაიდა, ივანოვი, ბოგდანოვი, ფედორენკო, შნეიდერმანი, ევსეენკო, ლიაბიკი (პილიპჩუკი), ნაზაროვი (რომანიუკი), პორკუიანი.

...ამ მატჩში ხურცილავას გოლი არ გაუტანია... კაცმა რომ თქვას, არც არის საჭირო მცველმა მეტოქის კარის აღებაზე უფრო იფიქროს, ვიდრე საკუთარის უვნებელყოფაზე. მაგრამ დინამოელთა კაპიტანმა კვირის შეხვედრაში თავისი მაღალტექნიკური და გააზრებული თამაშით, იშვიათი შემართებითა და დაუოკებელი ჟინით ფეხბურთის სპეციალისტთა და გულშემატკივართა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

საერთოდ, თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მატჩში ისინი მოქმედებდნენ გაცილებით მეტი მონდომებითა და შემართებით, განსაკუთრებით მეორე ტაიმში.

თამაშის პირველი ნახევრის ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია მარცხენა ფლანგზე გასული ყიფიანის მახვილგონივრული გადაცემა ზედ პირით ხაზიდან. ბურთი ჯერ მეკარემ უკუაგდო, შემდეგ კი ხურცილავას უძლიერესი დარტყმა მიიღო — [illegible] ზემოდან.

ათიოდე წუთის შემდეგ ძოძუაშვილმა, რომელმაც აგრეთვე კარგად ჩაატარა ეს მატჩი, თავისი მორიგი რეიდი საჯარიმოში ზუსტი გადაცემით დაამთავრა. ბურთზე კარგად გავიდა ებრალიძე, დაარტყა თავით, მაგრამ არაზუსტად.

მეორე ტაიმში დინამოელებმა კარის აღების გაცილებით მეტი მომენტი შექმნეს, ხოლო გოგია, შეიძლება ითქვას, „უსაქმოდ" იდგა თავის პოსტზე. საქმე ის არის, რომ „დნეპრი" პირნათლად ასრულებდა მწვრთნელის დავალებას — ჭარბი ძალებით იცავდა საკუთარი კარის მისადგომებს.

ენერგიულად ჩაატარა მთელი მატჩი ყიფიანმა, რომელსაც შესვენების შემდეგ გოლის გატანის ორი ნაღდი შესაძლებლობა მაინც ჰქონდა.

მიუხედავად დნეპროპეტროვსკელთა დაცვის თავგამოდებული მოქმედებისა (აქ კი გამოირჩეოდა უკვე მათი კაპიტანი — ვეტერანი სპორტის ოსტატი ვადიმ ივანოვი), მასპინძლებმა ორი ულამაზესი გოლი გაიტანეს.

პირველი ბურთი დინამოელთა ხანგრძლივი შტურმის შედეგი იყო — სწრაფმა და მონდომებულმა წერეთელმა 73-ე წუთზე ბურთი მიაწოდა საჯარიმო მოედნის ცენტრში. აქ ყველას დაასწრო ებრალიძემ და თავური დარტყმით გაგზავნა ბურთი კოლტუნის კარში — 1:0.

მე-80 წუთზე კი წერეთელმა მიიღო ყიფიანის ზუსტი გადაცემა და ოსტატურად გაიტანა გოლი კარის დაბალ კუთხეში — 2:0.

**ო. ნოზაძე.**

## მატჩები და შედეგები

**კვირას** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის („ა" კლასის უმაღლესი ლიგა) მეექვსე ტურის კიდევ 6 მატჩი.

კიევის „დინამო" მასპინძლობდა ცსკა-ს. თამაშის მე-2 წუთზე დინამოელმა კოლოტოვმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან გაიტანა გოლი და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 1:0.

არარატელებმა — ზანაზანიანმა, კაზარიანმა, ანდრიასიანმა სამი უპასუხო ბურთი გაიტანეს ლვოვის „კარპატის" კარში.

მოსკოვისა და მინსკის დინამოელთა შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა 1:1. პენალტებმა გამარჯვება მოუტანა დედაქალაქელ ფეხბურთელებს — 5:4.

რიგით მეოთხე დამარცხება განიცადა „პახტაკორმა" — 0:1 როსტოვის სკა-სთან (გოლის ავტორი იყო ფილატოვი).

„კაირატმა" ანგარიშით 2:0 მოუგო ლიდერს — დონეცკის „შახტიორს". გოლები გაიტანეს მარკინმა და ჩებოტარიოვმა.

ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მატჩი ლუჟნიკში „სპარტაკსა" და „ზარიას" შორის. გაიმარჯვა ჩემპიონმა (გოლები გაიტანეს ვ. კუზნეცოვმა და სტარკოვმა).

### გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი ● უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 8 მაისისათვის

| | თ. | მ. | მ-11. | წ. | ბ. | ბ-11. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „შახტიორი" | 6 | 4 | 1 | 1 | 6—4 | 4—3 | 9 |
| „არარატი" | 6 | 3 | 2 | 1 | 10—5 | 9—7 | 8 |
| „დინამო" თბ. | 6 | 3 | 1 | 2 | 8—5 | 4—2 | 7 |
| „დნეპრი" | 6 | 3 | 1 | 2 | 8—5 | 4—3 | 7 |
| „კაირატი" | 6 | 2 | 3 | 1 | 5—3 | 13—10 | 7 |
| ცსკა | 6 | 3 | 1 | 2 | 7—6 | 5—4 | 7 |
| „დინამო" კ. | 6 | 3 | 1 | 2 | 5—5 | 3—2 | 7 |
| „დინამო" მნ. | 6 | 3 | 0 | 3 | 6—4 | 4—5 | 6 |
| „ტორპედო" | 6 | 3 | 0 | 3 | 5—4 | 3—4 | 6 |
| „ზარია" | 6 | 2 | 0 | 4 | 6—4 | 8—12 | 4 |
| „დინამო" მ. | 6 | 1 | 1 | 4 | 4—6 | 8—8 | 3 |
| სკა | 6 | 1 | 1 | 4 | 3—6 | 10—10 | 3 |
| „პახტაკორი" | 6 | 1 | 1 | 4 | 3—7 | 4—3 | 3 |
| „სპარტაკი" | 6 | 1 | 0 | 5 | 8—9 | 11—14 | 2 |
| „ზენიტი" | 6 | 1 | 0 | 5 | 6—8 | 10—13 | 2 |
| „კარპატი" | 6 | 0 | 1 | 5 | 2—11 | 9—9 | 1 |

პირობითი ნიშნები: თ — თამაში; მ — მოგება; მ-11 — მოგება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმებით; წ — წაგება; ბ — ბურთები; ბ-11 — ბურთები გატანილი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმებით; ქ — ქულები.

## მატჩი ქუთაისში

**გუშინ** ქუთაისში გაიმართა „ა" კლასის პირველი ლიგის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს" შორის.

თამაშის 61-ე წუთზე სტუმრებმა მეტოქის კარში გაიტანეს ერთადერთი ბურთი, რომელმაც მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა მატჩის ბედიც.

## პირველი ახალგაზრდული

**6 მაისს** თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა საქართველოს დედაქალაქის პირველი ახალგაზრდული თამაშების საზეიმო გახსნა. აქ მოვიდნენ ლენინის, 26 კომისრის, 1 მაისის, ოქტომბრის, კალინინის, კიროვისა და ორჯონიკიძის რაიონების ფიზკულტურელები. აღლუმის კომანდორმა — სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. შავლაყაძემ მწყობრი კოლონები სტადიონზე შემოიყვანა.

თბილისის ახალგაზრდული თამაშების პროგრამაში შედის 26 სახეობა. შეჯიბრება 6 სახეობაში უკვე დამთავრდა. თამაშებში დედაქალაქის ყველა რაიონის ნაკრები გუნდები გამოდის. დაწინაურდნენ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის წარმომადგენლები. წინ კიდევ მრავალი სტარტია, რომელთა შემდეგ შეჯამდება შედეგები, ხოლო უძლიერესნი რესპუბლიკურ ახალგაზრდულ თამაშებში იასპარეზებენ.

**ო. ივანიშვილი.**

---

## ტელევიზია

### 8 მაისი

#### პირველი პროგრამით

11.00 — კინონარკვევი, 11.15 — მხატვრული ფილმი — „უშიშრად", 12.45 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.30 უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 17.15 — ლექცია ბიოლოგიაში; 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — მოსწავლეთათვის — „ობელისკები, ობელისკები...", 19.00 „დედებს...", 19.15 „სპორტული კვირეული", 19.35 — გადაცემა — „პოლიტიკური ენციკლოპედია", 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გმირი, ლექსი, სიმღერა" — პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 21.05 — „არჩევნების წინ", 21.25 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „განთავისუფლება" — (ბრძოლა ბერლინისათვის) IV სერია.

#### მეორე პროგრამით

17.15 — სკოლების დასახმარებლად — გეოგრაფია (VII-კლასელთათვის — საქართველოს მდინარეები და ტბები), 18.00 — საზოგადოებათმცოდნეობა (X-კლასელთათვის. სკკპ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა); 18.45 — განცხადებები, 18.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში; 19.50 — ლექცია მეცნიერულ კომუნიზმში; 20.35 — სატელევიზიო დადგმა „პარტიის კანდიდატი".

**ნუ ჰკარგავთ, ნუ გაუშვებთ**

## რადიო

### 8 მაისი

#### პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მღერის ე. ობრაზცოვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — რ. შჩედრინი. საფორტეპიანო პიესები, 11.40 — „ქარიშხლიან დღეთა სახსოვარი", 12.15 — სიმღერები ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ივერიას" შესრულებით, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა", 12.30 — მ. გლინკა. ვალსი — ფანტაზია, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.15 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — დ. თორაძე, ფრაგმენტები ბალეტიდან „მთიულები". 15.00 — საუბარი „კურსი სოციალისტურ რევოლუციაზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — კონცერტი, 17.15 — ჯ. როსინი. სიმებიანი კვარტეტი, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — ვ. ბასნერი. საოპერეტო მუსიკა, 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი". საუბარი „სკკპ XXIV ყრილობის საგარეო-პოლიტიკური პროგრამა — მოქმედებაში", 19.20 — ა. ბუკია. ნაწყვეტები ოპერიდან „ყვავილთა სამყაროში", 19.45 — უკრავს პოლონეთის რადიოს საესტრადო ორკესტრი, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „გამარჯვების დღესასწაული", საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ავიაციის მთავარი მარშლის პ. ს. კუტახოვის გამოსვლა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — რადიოგაზეთი ახალგაზრდობისათვის, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ქართველი პოეტების ლექსები, 21.30 დ. შოსტაკოვიჩი. მეხუთე სიმფონია; ს. პროკოფიევი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## თეატრები

### 8 მაისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **კოლხეთის ცისკარი**; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **აპრაკუნე ჭიმჭიმელი**; — ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **თოვლიანი მთების მელოდიები.**

რედაქტორი

**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02655

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.